ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 31 მარტი, 2022 | №64 (8842) | ფასი: 80 თეთრი

ირანის მოქალაქეს 10 წელი მიესაჯა

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე ბრალდებული 26 პირი დამნაშავედ ცნეს

გვ.5

ზუგდიდში სახლის წინ მანქანას ნაღმავდნენ

2 პირი დააკავეს

„იგორ გიორგაძის, ასლან აბაშიძისა და ლევან მამალაძის ამნისტირება მიუღებელია“

გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „ადამიანებს რამდენიმე აგურის მოპარვისთვის წლები აქვთ მისჯილი, ეს ადამიანები კი ქვეყნის ღალატისთვის უნდა შეიწყალონ?!“

უკრაინა და საქართველო ნატოს გარეშე უსაფრთხოდ ვერ იქნება!

გვ.2

დავით ბერძენიშვილი: „ევროკავშირი შარლ მიშელის დოკუმენტის გაცოცხლებას მოსთხოვს საქართველოს მთავრობას, რომელიც ორჯერ გადააფხრიწეს თავზე“



გვ.4

„პუტინისგან ყველაფერი მოსალოდნელია, მათ შორის, ბირთვული ომის დაწყებაც“

ვახტანგ მაისაია: „გაზაფხულზე უკრაინა ბიოლოგიური ეპიდემიების ტალღამ შეიძლება წალეკოს“

გვ.4

ბიბილოვი ამომრჩევლებს რუსეთის ფედერაციაში შესვლას ჰპირდება

ოკუპირებულ ცხინვალში ე. წ. საპრეზიდენტო არჩევნებს ლუგანსკიდან ჩამოსული დამკვირვებლები დააკვირდებიან

ირაკლი ღარიბაშვილი სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა

გვ.2

წალენჯიხელ გელა აბულაძეს ბრალი წარუდგინეს

აბულაძე თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს



გვ.5

2 ირაკლი კობახიძე: „ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ უკრაინას, ამიტომ ჯობს, სააკაშვილი იჯდეს ციხეში“

3 მიხეილ ყაველაშვილი: „შეუძლებელია, ნაციონალურმა მოძრაობამ ამ ქვეყანაში გაიმარჯვოს და ხელისუფლებაში მოვიდეს“

3 თბილისში მანქანის ევაკუაციის ფასი 60-დან 150 ლარამდე იზრდება

6 ჯონსონი: „პუტინი სიტუაციას გააუარესებს“ ბრიტანეთი მზადაა, უკრაინას უსაფრთხოების გარანტორად დაუდგეს

1993230720223

უკრაინა და საქართველო ნატოს გარეშე უსაფრთხოდ ვერ იქნება!

დავით ბერძენიშვილი: „ევროკავშირი შარლ მიშელის დოკუმენტის გაცოცხლებას მოსთხოვს საქართველოს მთავრობას, რომელიც ორჯერ გადააფხრიწეს თავზე“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი პასუხობს.

– პატონო დავით, თქვენთვისაც ცნობილია, რომ რუსეთ-უკრაინის მოლაპარაკებები მიმდინარეობს. რა მოლოდინი გაქვთ, ელით რეალურ შედეგს ამ მოლაპარაკებებიდან?

– მოლაპარაკებები დამთავრებული არ იყო, რომ რუსებმა დაბომბვები განაახლეს. ასე რომ, ისინი სანდონი რომ არ არიან, გასაგებია. ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ამერიკის სახელმწიფო მდივნის, ენტონი ბლინკენის საკმაოდ მკაცრი ტექსტი, რომ რუსების ნდობა არ შეიძლება და უკრაინა დასაცავია. მე არ ვგულშემატკივრობდი და არც დამიმალავს ეს, ამ მოლაპარაკებების სწრაფად დამთავრებას. იმიტომ, რომ სწრაფად დამთავრება ნიშნავს, რუსების გამარჯვებას და რუსების გამარჯვების დაშვება შეუძლებელია. არა მარტო გამარჯვებაა დაუშვებელი, არამედ საკუთარ ხალხს რომ ეტყვის გავიმარჯვეო, იმდენად დიდი ტყუილი უნდა იყოს, რომ რუსეთშიც არ უნდა გავიდეს.

– ნატო არ იქნება, მაგრამ იქნება სხვა ფორმატიო. ეს ფორმატი რამდენად საიმედოა?

– უკრაინა ნატო-ს გარეშე შესაძლებელია, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს არა უფრო მაგარი ბეჭდით დარტყმული ბუდაპეშტის მემორანდუმის მსგავსი ქაღალდი, არამედ უნდა ჰქონდეს რეალური დაცვა გარანტორი ქვეყნებისგან. მე არ წარმომიდგენია რეალური დაცვა უკრაინის ტერიტორიაზე გარანტორი ქვეყნების სასწრაფოდ ყოფნის შესაძლებლობის გარეშე. არიქა, დაარტყას რუსეთმა უკრაინას და მერე ამერიკამ კონგრესის სხდომა მოიწვიოს და იმან მიიღოს მერე გადაწყვეტილება, ჩავიდეთ თუ არ ჩავიდეთ უკრაინაში და რომ ჩადის, რითი ჩადის, ეს სერიოზული არ არის.

– თქვენ რა მიგაჩნიათ ამ სიტუაციაში სწორად?

– სანამ უკრაინაში არ იქნება გამზადებული ბაზები გარანტორი პარტნიორი ქვეყნებისთვის, მანამდე აზრი არა აქვს ფარატინა ქაღალდებით ჟონგლიორობას, რამდენი ბეჭედიც არ უნდა ერტყას იმაზე მაგარი, ვიდრე ბუდაპეშტის მემორანდუმს ერტყა. ამიტომ მე საკმაოდ სკეპტიკურად ვუყურებ ნატოს ან მისი ანალოგის, ან რაიმე ფორმით უკრაინის ტერიტორიაზე დასავლური ქვეყნების სამხედრო წარმომადგენლობის ყოფნის გარეშე, უკრაინის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. ამიტომ ამ თვალსაზრისით, კარგია, რომ ჯერჯერობით შედეგი არ არის. მეორე მხრივ, კარგია, რომ რუსეთი იძულებული ხდება უკან დაიხიოს და ეს მისი გამოგონებული ტერმინი, მთელი მსოფლიო რომ დააშტერა და ენას რომ ვიმტვრევთ მის გამოთქმაზე, ყველა ენაზე, ყველა ადამიანი – დენაციფიკაცია, ეს ისეთივე სისულელედ დარჩა, როგორც მოიფიქრა თავიდან რუსეთმა და წაიღეს უკან.

არავითარი დემილიტარიზებული უკრაინა არ იქნება! ნატოში იქნება თუ ნატოს გარეთ, უკრაინა იქნება სწორედ რომ მილიტარიზებული! სხვანაირი უკრაინა, ეს არის ომში დამარცხებული უკრაინა და ეს კაპიტულაციას ნიშნავს. ასე რომ, მილიტარიზებული უკრაინის ატანა მოუწევს რუსეთს, იქნება ეს ნატოს ფორმატში და ქოლგის ქვეშ, თუ ნატოს წევრი ქვეყნების ქოლგის ქვეშ!

– როდესაც უკრაინა აცხადებს, რომ ის უარს იტყვის ნატოზე, ამით რუსეთი ხომ არ ისარგებლებს? ის ხომ არ დარჩება მოგებული საბოლოოდ?

– უპირობოდ უარს არ ამბობენ ნატოზე. უარს ვიტყვით იმ შემთხვევაში, თუ... და იმხელა თუა, რასაც რუსეთი ვერ ეთანხმება. პრინციპში, გათვლა იმაზეა, რომ, კი ბატონო, ჩვენ უარს ვიტყვით ნატოზე, თუ თქვენ ამას და ამას იზამთ, მაგრამ რუსეთი არ ამბობს, რომ ამას იზამს. არ ვიცი, ვნახოთ. ჩემი სკეპტიკური დამოკიდებულება განსაზღვრა უკრაინის უსაფრთხოების დანახვის შესაძლებლობამ ნატოს გარეშე. არსებობს ასეთი შესაძლებლობები, თუმცა ძალიან გულწრფელად და პირდაპირ გეტყვით, მე, უპირველეს ყოვლისა, შექმნილ ვითარებას ვაფასებ, როგორც ქართველი პოლიტიკოსი და ჩემთვის, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია უკრაინაში მიმდინარე პროცესების პოზიტიური გავლენა საქართველოზე.

ნატოში მყოფი უკრაინა ან ნატოს წევრი ქვეყნების შექმნილ ახალ სამხედრო ევროპულ-რეგიონულ გაერთიანებაში მყოფი უკრაინა, ჩვენთვის გაცილებით უფრო სასარგებლო იქნება. ასეთ შემთხვევაში, ჩვენთვის ეს უფრო მეტი დაცულობა იქნება. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, უკრაინამ რომ მიიღოს უსაფრთხოების ნამდვილი გარანტიები, რომელსაც დაუჯერებს უკრაინელი ხალხი რეფერენდუმზე, მათ შორის ლვოვშიც დაუჯერებენ. დასავლეთ უკრაინის თანხმობის გარეშე, მშვიდობა არ იქნება უკრაინაში და რუსები ისეთ პარტიზანულ წინააღმდეგობას მიიღებენ, რომ ჩემს მტერს! მათ აქვთ ეს გამოცდილება მეორე მსოფლიო ომის დროს და ომის მერე. ყველას აქვს ეს გამოცდილება, უკრაინელებმა როგორი წინააღმდეგობა იციან. ამიტომ, მე ვამჯობინებ დასავლური ქვეყნების ქოლგის ქვეშ, უკრაინის სამხედრო დაცვას და საქართველოს სამხედრო დაცვას! თუ უკრაინა რაიმე სხვა ტიპის გარანტიებს მიიღებს დასავლეთის ქვეყნებისგან, ჩვენც მსგავსი გარანტიები უნდა მივიღოთ დასავლეთისგან.

– თუკი ნატოს გარეშე გადაწყვიტა უკრაინამ საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოების დაცვა?

– თუ უკრაინა ნატოს გარეშე საკუთარ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, ეს არ ნიშნავს ავტომატურად იმას, რომ საქართველომაც ნატოს გარეშე უნდა დაიწყოს საკუთარი უსაფრთხოებისთვის ზრუნვა. პირიქით, საქართველომ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს ნატოსკენ სვლა. ამაში ვარ აბსოლუტურად დარწმუნებული. იმიტომ რომ, როგორც ბალტია, ისე საქართველო, აუცილებლად, სწორედ ნატოს ქოლგის ქვეშ დაინახავს საკუთარ უსაფრთხოებას!

– პატონო დავით, დღეს ყველა ამაზე საუბრობს, რომ საქართველოს ძალიან კარგი შანსი ეძლევა ნატოში ინტეგრაციის გზაზე. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, როგორ იქცევა ჩვენი ხელისუფლება, რა პოზიცია უჭირავს მას, ეს რამდენად შესაძლებელია?

– საქართველოს ხელისუფლება ამჟამად არის ჩვენი მინუსი და ეს არის მოცემულობა. ამასთანავე, იმის გამო, რომ არ გვივარგა ხელისუფლება, ქართველებს არავინ გვეუბნება უარს ევროპულობასა და დასავლურობაზე.

ჩვენი ხელისუფლება რა მოსატანია, ისეთი საზიზღარი და სამარცხვინო ჰყავდათ ხორვატებს მეორე მსოფლიო ომის დროს, ჰიტლერს უკვირდა მათი განსაკუთრებული სისასტიკე და აღვირახსნილობა, მაგრამ ეს ხალხები ევროპიდან არავის გაურიცხავს. ასე რომ, ხელისუფლება რომ არ გვივარგა, თავჩაქინდრული ხარ, მაგრამ თავჩაქინდრულიც მაინც ევროპელი თავჩაქინდრული ხარ. ჩვენ ბევრი სხვა რამ გვაქვს ისეთი, რომელიც დღევანდელი ხელისუფლების უვარგისობას გადაფარავს. ჩვენ 90-იანი წლების დასაწყისიდან ვებრძვით საბჭოთა იმპერიას. მაშინ ვებრძოდით რუსეთის იმპერიას, 2008-ში და მომდევნო ხანებში, როცა აღმოსავლეთ უკრაინა, იანუკოვიჩს ირჩევდა პრეზიდენტად! ასე რომ, ყველას თავისი დრო აქვს ლიდერობის, ყველას თავისი დრო აქვს წინააღმდეგობის. ეს არის ერთგვარი გზა, როცა ამ მარათონის ცალკეული მონაწილენი, პერიოდულად არიან ლიდერები აი ამ მარათონში. ჩვენ, ჩვენი ლიდერობის წლები გამოვიარეთ, ახლა უკრაინელების ლიდერობის დროა.

– გამოვიარეთ, მაგრამ კვლავაც ვართ ნატოს და ევროკავშირის გარეშე. დაგვიდგება ამ ორგანიზაციებში შესვლის დრო უახლოეს პერიოდში?

– მე ვფიქრობ, რომ შანსები გაცილებით მეტია, ვიდრე არის რისკი. ევროკავშირს რაც შეეხება, მეტი რა ქნას ამ ევროკავშირმა? ჩვენ ღარიბაშვილის პრემიერმინისტრობის პირობებში ვართ. ასეთი არაკვალიფიციური და უსახური ხელისუფლება გვყავს და ევროკავშირი მაინც უარს არ გვეუბნება კანდიდატობის განხილვაზე და ამ ევროკავშირმაც მეტი რა ქნას?! როდესაც ევროპული საბჭოს პრეზიდენტი ორჯერ ჩამოდის თბილისში და თავზე გადააფხრიწეს ხელმოწერილი დოკუმენტი, ბუნებრივია, ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის განხილვის პირველივე სტადიაზე, შარლ მიშელის დოკუმენტის გაცოცხლებას მოსთხოვენ საქართველოს მთავრობას. საქართველოს მთავრობა არის აპოთეოზი უვიცობის და უწესობის ერთად აღებული! რა ვქნათ, დაგვემართა ასე, თან უწესოებიც არიან და თან უვიცებიც. ჩვენ უწესო ხელისუფალი გვყოლია, უვიცი ხელისუფალიც გვყოლია. უწესო და უვიცი ერთად, პირველად გვყავს ახლა!

ირაკლი ღარიბაშვილი სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ არარატ მირზოიანს შეხვდა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე საქართველოსა და სომხეთს შორის ურთიერთობები განიხილეს. ხაზი გაესვა ქვეყნებს შორის არსებულ მეგობრულ და კეთილმეზობლურ ურთიერთობებს.

შეხვედრაზე განიხილეს რეგიონში არსებული ვითარება. ყურადღება დაეთმო საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებულ „მშვიდობიან სამეზობლო ინიციატივას“, რომელიც მიზნად ისახავს დიალოგის ფორმატის ჩამოყალიბებას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველო ყოველთვის მხარს უჭერდა მშვიდობიან თანამშრომლობას და თანაარსებობას სამხრეთ კავკასიაში და მზადაა თავისი წვლილი შეიტანოს რეგიონულ დიალოგში.

შეხვედრას ესწრებოდნენ სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რუბენ სადოიანი, მინისტრის მრჩეველი ვაჰან კოსტანიანი და მინისტრის ასისტენტი რობერტ აბისოგომონიანი. ქართული მხრიდან კი შეხვედრას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი, ილია დარჩიაშვილი და საქართველოს ელჩის მოვალეობის შემსრულებელი სომხეთის რესპუბლიკაში ირაკლი კვანჭახაძე ესწრებოდნენ.

ირაკლი კობახიძე: „ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ უკრაინას, ამიტომ ჯობს, სააკაშვილი იჯდეს ციხეში“

– სააკაშვილის გათავისუფლება ნიშნავს დამატებით თავის ტკივილს უკრაინისა და საქართველოსთვის.

ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ, ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც კობახიძე აცხადებს, ეს არის დამატებითი არგუმენტი, რატომაც არის სააკაშვილის ციხეში ყოფნა მიზანშეწონილი.

– სააკაშვილი არის მძიმე მდგომარეობაში და საინტერესო არ არის... ჩვენ ვუფრთხილდებით საქართველოს და უკრაინას. სწორედ იმიტომ, რომ საქართველოს და უკრაინას ვუფრთხილდებით, ეს არის დამატებითი არგუმენტი, რატომაც არის სააკაშვილის ციხეში ყოფნა მიზანშეწონილი.

მას შეუძლია ზიანის მოტანა როგორც საქართველოსთვის, ასევე უკრაინისთვის ციხის გარეთ. შესაბამისად, არავითარი პოლიტიკური მიზანშეწონილობა, რომ სააკაშვილი იყოს გარეთ, არ არსებობს. პირიქით, ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ უკრაინას, რომელიც ისედაც მძიმე მდგომარეობაშია. იმისთვის, რომ დამატებით არ დავამძიმოთ მდგომარეობა, ჯობს, სააკაშვილი იჯდეს ციხეში.

მთავარია, რომ სააკაშვილის გათავისუფლება ნიშნავს დამატებით თავის ტკივილს უკრაინისა და საქართველოსთვის. თქვენ ითხოვთ, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება მივიღოთ გათავისუფლებაზე და სამართლებრივად ეს კაცი ზის იქ, სადაც ზის, – განაცხადა კობახიძემ.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილის განცხადებას მთავრობის ჩამოგდებასთან დაკავშირებით, კობახიძე ამბობს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ დიდი არეულობის რესურსი არ აქვს.

– დიდი რესურსი არეულობის შემოტანის არ აქვთ, მაგრამ პატარა რესურსი, რა თქმა უნდა, აქვთ. ამიტომ ჯობს იყვნენ იქ, სადაც არიან დღეს, – განაცხადა კობახიძემ.

ცნობისთვის, საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 29 მარტს სასამართლოში „მთავრობის ჩამოგდების“ შესახებ მოწოდება გააკეთა.

მისი განცხადებით, „თუ ჩვენ ამ მთავრობას არ ჩამოვაგდებთ, ეს თაობა სამუდამოდ დარჩება სასირცხვილოდ უკრაინის ისტორიაში“.

– თუ არ მოვახერხებთ ხალხის მობილიზებას და ქუჩებში არ გამოვალთ, საქართველო დაღუპულია, – განაცხადა სააკაშვილმა სასამართლო პროცესზე.

პრეზიდენტის ადმინისტრაცია: „ტყუილში ჩვენი დადანაშაულება იწვევს არასასურველ დაძაბულობას“

ტყუილში ჩვენი დადანაშაულება იწვევს არასასურველ დაძაბულობას, მთავრობამ პრეზიდენტს წარუდგინა 12 დიპლომატის კანდიდატურა, ყველას დანიშვნაზე პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება.

ამის შესახებ აღნიშნულია პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში, რომლითაც პასუხობენ მთავრობის ადმინისტრაციის 29 მარტის განცხადებას.

„საქართველოს პრეზიდენტისა თუ მისი ადმინისტრაციის ტყუილში დადანაშაულება, რომელიც ზრდილობასაც და ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, იწვევს საზოგადოებაში არასასურველ დაძაბულობას, როცა ჩვენ ირგვლივ ბევრად უფრო საკვანძო საკითხები წყდება.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია კიდევ ერთხელ იმეორებს: 2021 წლის პირველი იანვრიდან 2022 წლის 21 მარტის ჩათვლით, ელჩის და დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასანიშნად მთავრობამ პრეზიდენტს წარუდგინა 12 კანდიდატურა და თორმეტივეს დანიშვნის თაობაზე პრეზიდენტის მიერ გამოცემულია შესაბამისი განკარგულება“ – აღნიშნულია პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებაში.

მთავრობის ადმინისტრაციამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ „რეალურ სურათს არ ასახავს ინფორმაცია, თითქოს ბოლო ერთ წელიწადში პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ყველა წარდგენილი კანდიდატის დანიშვნას დიპლომატიურ მისიებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში“.

„ქართული ოცნება“ სალომე ზურაბიშვილს ელჩების დანიშვნასთან დაკავშირებით მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას ედავება და ამტკიცებს, რომ პრეზიდენტი მთავრობის წარდგენილ ელჩებს ბლოკავდა.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ანრი ოხანაშვილი არ გამორიცხავს, რომ გასაჯაროვდეს შიდა მიმოწერა, სადაც დასტურდება, რომ სალომე ზურაბიშვილი უარს ამბობს იმ დიპლომატების დამტკიცებაზე, რომელთა კანდიდატურაც მას მმართველმა პარტიამ შესთავაზა.

– სიმართლე არის მიმოწერაში, რაც დოკუმენტურად არის დადასტურებული და თუ ახლა საქმე იქამდე უნდა მივიდეს, რომ ეს დოკუმენტი უნდა გასაჯაროვდეს, არ გამოვრიცხავ, რომ ეს დოკუმენტიც გასაჯაროვდეს, – განაცხადა ანრი ოხანაშვილმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„იგორ გიორგაძის, ასლან აბაშიძისა და ლევან მამალაძის ამნისტირება მიუღებელია“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ადამიანებს რამდენიმე აგურის მოპარვისთვის წლები აქვთ მისჯილი, ეს ადამიანები კი ქვეყნის ღალატისთვის უნდა შეიწყალონ?!“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, „ამნისტიის შესახებ“ პროექტის მეხუთე მუხლი მიხედვით პირები, რომელთაც დანაშაული 2004 წლის პირველ იანვრამდე ჩაიდინეს, სისხლის სამართლის სასჯელისგან თავისუფლდებიან. ოპოზიცია ამ ჩანაწერს აპროტესტებს. რატომ?

– იმიტომ, რომ აღნიშნული მუხლი კონკრეტულად ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების მაღალჩინოსნებს შეეხება. ეს რეჟიმი ხელისუფალთა ტოტალური დე ფაქტო დაუსჯელობიდან დე იურე დაუსჯელობაზე გადავიდა.

საქართველოს მთელი უბედურება ისაა, რომ აქამდე ვერა და ვერ გაიმართა ეს ქვეყანა წელში. ეს კი გამოწვეულია სწორედ ხელისუფლების მაღალჩინოსნების მიერ ჩადენილი დანაშაულებით და შემდეგ უკვე მათი დაუსჯელობით. დაუსჯელობის სინდრომი წარმოშობს ახალ-ახალ დანაშაულებს.

უკვე ბოლო პერიოდში კანონის დონეზე დაიწყო ამ ხალხისთვის დანაშაულის პატიება და ამნისტირება. ეს სრულიად მიუღებელია. სხვა რა იყო 20 ივნისის საქმის ამნისტირება?! ახლა კიდევ უფრო შორს წავიდნენ და გადაწყვიტეს შევარდნაძის დროის მძარცველები და ყაჩაღები გამოაცხადონ ამნისტირებულებად.

– კონკრეტულ პირებსაც ასახელებს ოპოზიცია. თუმცა, რამდენად შეეხებათ მათ?

– პირდაპირ გეტყვით, საუბარია ლევან მამალაძეზე, ასლან აბაშიძესა და იგორ გიორგაძეზე.

– და რაში სჭირდებათ ეს ხალხი თუ მართლაც მათ ეხებათ ამნისტია?

– მე არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთის დავალებაც კი იყოს. დღემდე რუსეთში ცხოვრობენ ასლან აბაშიძე და იგორ გიორგაძე. მათი დამოკიდებულება და სამსახური რუსეთისადმი ახალი არ არის ჩვენი საზოგადოებისთვის. ეს ის ხალხია, რომლებიც მეხუთე კოლონას წარმოადგენენ. რაც შეეხება ლევან მამალაძეს, როგორც ჩანს, ის ამ ხელისუფლებას სჭირდება და არ გამოვრიცხავ, რომ ამ კანონის მიღების შემდეგ ის საქართველოშიც ვიხილოთ. არათუ საქართველოში, ხელისუფლებაშიც კი. არაფერს არ გამოვრიცხავ. მამალაძეზე არც უარყოფენ, რომ მას შეეხება.

ლევან მამალაძე არის საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო კორუმპირებული ყოფილი ჩინოვნიკი. გიორგაძის, აბაშიძის, მამალაძის ამნისტირება და ასე შეწყალება არის მიუღებელი. ეს არის ყველა ჩინოვნიკისთვის გზავნილი, სიგნალი, რაც გინდათ დააშავეთ, მოპარეთ თქვენს ქვეყანას, გაძარცვეთ იგი, უღალატეთ და გაყიდეთ სამშობლო, არაფერი არ მოგივათ, კანონით იქნებით ნაპატიები. ეს არის „ქართული ოცნების“ გზავნილი. ამ ხალხზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და ამიტომაც არიან ისინი საზღვრებს მიღმა, მიმალვაში. საქართველოში დღემდე ვერ ბრუნდებიან.

– კანონს მიიღებენ?

– რა თქმა უნდა! ამ ამნისტიის კონკრეტულად ეს მუხლი პრინციპულად მიუღებელია. ეს არის პირდაპირ დანაშაულის წახალისება. თან, დისკრიმინაციულიც არის. ადამიანებს ერთი პურისა და რამდენიმე აგურის მოპარვისთვის, რომ შვილები შიმშილისგან გადაერჩინათ, წლები აქვთ მისჯილი, ეს ადამიანები კი მილიონების მოპარვისთვის, ამ ქვეყნის გაღატაკებისა და რუსეთთან, ჩვენს დაუძინებელ მტერთან თანამშრომლობისთვის, ქვეყნის ღალატისთვის დასჯილები კი არა, ამნისტირებულები უნდა იყვნენ. ასეთია „ქართული ოცნების“ სამართალი.

– ქუჩაში ოპოზიციის აქტიურობას უნდა ველოდოთ?

– რა თქმა უნდა! ერთადერთი გადარჩენა პროტესტშია. მშვიდობიან პროტესტში, რომელიც მოიტანს ვადამდელ არჩევნებსა და ხელისუფლების არჩევნებით ცვლილებას. თუმცა, მანამდე თუ ოპოზიციამ, რომელიც პარლამენტშია და „ქართული ოცნების“ ხელისუფლების „გაპრავებით“ არის დაკავებული, არ დატოვა პარლამენტი, არაფერი გამოვა. ხალხი, უბრალოდ, ამ ოპოზიციას არ გაყვება. არ შეიძლება რეჟიმს ერთი ხელით ებრძოდე და მეორე ხელით „აპრავებდე“. ამიტომ პარლამენტში შესულ ოპოზიციას ჯერ გადაწყვეტილება აქვს მისაღები, როგორ აპირებენ ბრძოლის გაგრძელებას.

„ოცნებისთვის“ უკვე ყველა ადამიანი, ვინც ოდნავ მაინც გააპროტესტებს, მაგალითად, ფასებს, საწვავის ფასის გაზრდას, რომელიც თითოეულ ჩვენგანს ეხება, „ნაციონალია“. იმაზე კი არაფერს ამბობენ, რომ საწვავის ბიზნესში ნამდვილი ოლიგოპოლია არსებობს და ამას როგორ ვუშველოთ. თუმცა, რა შველაზეა ლაპარაკი, როდესაც მათ ჯიბეში მიდის ამ ფულის ნახევარი. კი მთელ მსოფლიოში გაიზარდა საწვავის ფასი, მაგრამ იქ, როდესაც იკლებს, აქ არასდროს არ იკლებს. ამას რითი ხსნიან ნეტა, ამაზე რას ამბობენ?! რატომ არ ამბობენ, რომ კორუფციული ფასებია.

ბიბილოვი ამომრჩევლებს რუსეთის ფედერაციაში შესვლას ჰპირდება

ოკუპირებულ ცხინვალში ე. წ. საპრეზიდენტო არჩევნებს ლუგანსკიდან ჩამოსული დამკვირვებლები დააკვირდებიან

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში 10 აპრილს ე. წ. საპრეზიდენტო არჩევნებია დანიშნული. ამ არჩევნებსა და მის შედეგებს არ აღიარებს ოფიციალური თბილისი და საერთაშორისო თანამგობრობა. უკანონო დე ფაქტო არჩევნებში რამდენიმე კანდიდატი მონაწილეობს. კანდიდატების რეგისტრაცია 15 მარტს დასრულდა.

რამდენიმე კანდიდატს რეგისტრაციაზე უარი ეთქვა სხვადასხვა სარეგისტრაციო დარღვევის საბაბით. სასამართლომ დაწუნებულ კანდიდატებს სარჩელები არ დაუკმაყოფილა. არსებობს მოსაზრება, რომ ზოგიერთი კანდიდატი ბიბილოვის მითითებით მოიშორეს. კანდიდატები აბარებდნენ ლინგვისტურ გამოცდას ოსურ და რუსულ ენებში. ორმა კანდიდატმა გამოცდა ვერ ჩააბარა.

მოქმედი დე ფაქტო პრეზიდენტის, ანატოლი ბიბილოვის გარდა, არჩევნებში მონაწილეობენ პარლამენტის ვიცე-სპიკერი ალექსანდრე პლიევი, პარტია „ნიხასის“ თავმჯდომარე აღან გაგლოევი, დეპუტატი გარი მულდაროვი და ყოფილი დეპუტატი დიმიტრი ტასოევი.

ეს კანდიდატები სატელევიზიო დებატებში მონაწილეობენ და პოლიტიკურ კულტურაზე საუბრობენ.

ოკუპირებული რეგიონის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნებზე დასასწრებად მოსაწვევები გააგზავნა საქართველოს კიდევ ერთ ოკუპირებულ რეგიონში – აფხაზეთში, ასევე, რუსეთის ფედერაციასა და ისეთ წარმონაქმნებში,

როგორიცაა ლუგანსკისა და დონეცკის სახალხო რესპუბლიკები და დნესტრისპირეთი.

ჯერჯერობით თანხმობა ცხინვალში ჩამოსვლაზე გამოთქვეს ლუგანსკისა და რუსეთის ფედერაციის (ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიამ) „საერთაშორისო დამკვირვებლებმა“.

ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმმა ლუგანსკისა და დონეცკის რესპუბლიკების „დამოუკიდებლობის“ აღიარება თვით აგრესორ რუსეთს დაასწრო. ცხინვალმა ეს ჯერ კიდევ 2014 წელს გააკეთა. რუსეთმა იგივე ნაბიჯი გადადგა 21 თებერვალს, უკრაინაში შეჭრის წინ. მას მიბაძა ოკუპირებულმა აფხაზეთმა. ამის საპასუხოდ ლუგანსკის რესპუბლიკამ ცნო აფხაზეთი.

21 თებერვლის გადაწყვეტილებას მოსკოვის მხრიდან დონბასის რესპუბლიკების აღიარებაზე ცხინვალში დიდი ზეიმი, ცეკვები და ავტორბოლა მოჰყვა.

დღეს ცხინვალში, წესით, არ უნდა ეზეიმებოდეთ. ადგილობრივი სამხედროები რამდენიმე დღის წინ უკრაინის ფრონტზე გაგზავნეს. ისინი რუსეთის მხარეს იბრძვიან და უკრაინის მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვაში მონაწილეობენ.

– ჩვენი ბიჭები მიდიან სამხედრო ვალის მოსახდელად ამაყად აწეული დროშებით. მათში იგრძნობა საბრძოლო სულისკვეთება. ისინი გულანთებული არიან. ალანების სისხლი თავისას ამბობს, – გამოაცხადა უკრაინაში სამხედროების გაცილებისას ბიბილოვმა.

მათ მივლინებას, ასევე მოხალისეების გაშვებას უკრაინის ომში, ოკუპირებულ რესპუბლიკაში უკმაყოფილება მოჰყვა. ამის შესახებ ინფორმაცია მთელ საქართველოში გავრცელდა.

როგორც ჩანს, მოსახლეობის დაშოშმინებას ემსახურება საოკუპაციო რეჟიმის ანალიტიკური სამსახურების განცხადებები და განმარტებები უკრაინის თემაზე.

ბიბილოვის ანალიტიკური სამსახური ხალხს არწმუნებს, რომ ოსი სამხედრო მოსამსახურეები უკრაინაში ომობენ იმისთვის, რომ ცხინვალში მშვიდობა იყოს. ბიბილოვის პროპაგანდისტები მოსახლეობის დასამუშავებლად ანტიქართულ რიტორიკას იყენებენ. მათი მტკიცებით, ქართველებმა 80 წლის წინ მოაწყვეს ოსების გენოციდი, 2008 წელს მორიგი გენოციდი იყო და ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ბრძოლა უკრაინაში.

უშველის თუ არა ბევრი მიმართულებით სახელგატეხილ ბიბილოვს საარჩევნოდ ეს რიტორიკა, ძნელი სათქმელია. როგორც ჩანს, კრემლს ცხინვალში ბიბილოვის ყოფნა ხელს აძლევს. რუსეთის მმართველი პარტია „ედინაია როსიას“ ერთ-ერთი ლიდერი, ანდრეი ტურჩაკი თებერვლის დასაწყისში ცხინვალს სტუმრობდა. იგი დაესწრო პარტია „ედინაია ოსეტიას“ (ბიბილოვის პარტია) ყრილობას და იმედი გამოთქვა, რომ 10 აპრილის არჩევნების შემდეგ რუსეთთან ურთიერთობაში არაფერი შეიცვლება.

ბიბილოვს ბევრჯერ გამოუთქვამს ამ რეგიონის რუსეთის ფედერაციაში შესვლის (ჩრდილოეთ ოსეთთან მიერთების) სურვილი.

რუსეთში შესვლას ბიბილოვი ამომრჩევლებს თავის წინასაარჩევნო პროგრამაშიც ჰპირდება. იგი პირობას დებს, რომ გააააქტიურებს მუშაობას „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის რუსეთის ფედერაციაში შესვლის მხრივ“. კიდევ ერთი დაპირებაა რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობების ჰარმონიზაციის პროცესის დაჩქარება.

არჩევნების შემდეგ ბიბილოვის დარჩენა ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხელმძღვანელობაში არ ნიშნავს მისი უკანონო და უსამართლო დაპირებების შესრულებას. აგრესორ რუსეთს საქართველოს ამ კუთხის მიერთებისათვის არ ეცლება.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საუდის არაბეთის სამეფოს ეკონომიკისა და დაგეგმარების მინისტრს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საუდის არაბეთის სამეფოს ეკონომიკისა და დაგეგმარების მინისტრს ფაისალ ფადილ ალ-იბრაჰიმს შეხვდა.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა ორი ქვეყნის სხვადასხვა უწყებებს შორის არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობის მნიშვნელობას და დაისახა ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები. განიხილეს საქართველოსა და საუდის არაბეთის თანამშრომლობის ერთობლივი ეკონომიკური კომიტეტის შექმნის შესაძლებლობა.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მიესალმება საუდის არაბეთის სამეფოდან უფრო მეტი ინვესტორის შემოსვლას საქართველოში. აღინიშნა, რომ ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის სწრაფად მზარდი სექტორია, საუდის არაბეთის მოქალაქეები უვიზო რეჟიმით სარგებლობენ და სასიხარულოა, რომ საუდის არაბეთიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობა ყოველწლიურად მზარდია.

შეხვედრაზე ყურადღება ასევე დაეთმო უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებს და შედეგად აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში შექმნილ უსაფრთხოების გამოწვევებს. პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს სოლიდარობა და პოლიტიკური მხარდაჭერა უკრაინისადმი, მათ შორის მრავალმხრივ ფორმატებში.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას საუდის არაბეთის მინისტრის მოადგილე საერთაშორისო ეკონომიკის საკითხებში ბანდარ აბდულმოჰსენ ალ-ხამისი, აღმასრულებელი ოფისის გენერალური დირექტორი ზაიდ მუჰამედ ალ-ზაიდი, საუდის არაბეთის სამეფოს ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ამერ ომარ ამერი, ვიცე-პრემიერი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ილია დარჩიაშვილი ესწრებოდნენ.

მიხეილ ყაველაშვილი: „შეუძლებელია, ნაციონალურმა მოძრაობამ ამ ქვეყანაში გაიმარჯვოს და ხელისუფლებაში მოვიდეს“

– უნდა ვანუგეშო ჩვენი მოსახლეობა, რომ დიახ, ჩვენ, „ქართული ოცნება“ და მისი ხელისუფლება ვართ გარანტი ამ დაძაბულ ვითარებაში, რომ საქართველოში მშვიდობა იქნება, – განაცხადა ფრაქცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა მიხელ ყაველაშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

მისი თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ ბოროტების პარტიაა, რომელსაც დროულად უნდა გაემიჯნონ მოქალაქეები.

– თქვენს ლიდერს გუშინ როგორი გამოსვლა ჰქონდა? ისევ ჩამოგდება, ისევ დამხობა, ისევ დახრჩობა და რა სიტყვები აღარ გამოიყენა. ამას ემიჯნებით რომელიმე?“ – მიმართა მიხეილ ყაველაშვილმა ოპოზიციის წარმომადგენლებს.

მისი თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები სხვა ქვეყნების ტელევიზიებიდან ამუნათებენ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას.

– რომელ ერთიანობაზე გვესაუბრებით? სად არის ერთიანობის გარანტი?“ – ჰკითხა ოპოზიციონერ დეპუტატებს სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენელმა.

მისი თქმით, „ნაციონალურ მოძრაობაში“ ზოგიერთი ადამიანი მართლაც არის სამშობლოს სიყვარულით განმსჭვალული.

– ასეთ ადამიანებს მოგიწოდებთ, სანამ დროა, კარგად დაფიქრდით. არ მინდა, რომ ამ პროექტის ნაწილებად დარჩეთ. სანამ დროა, გაემიჯნეთ და გადით ამ პარტიიდან. „ნაციონალური მოძრაობა“ დამთავრებულია, შეუძლებელია, როდისმე ამ პარტიამ ამ ქვეყანაში გაიმარჯვოს და მოვიდეს ხელისუფლებაში, ეს გამორიცხულია.

გაემიჯნეთ ის პოლიტიკური პარტიებიც, რომლებიც მის გარშემო ტრიალებთ და თითქოს არ იცით, რა ხდება, – განაცხადა მიხეილ ყაველაშვილმა.

თბილისში მანქანის ევაკუაციის ფასი 60-დან 150 ლარამდე იზრდება

თბილისის პარკინგის სპეციალურ საჯარიმო სადგომზე სატრანსპორტო საშუალებების გადაყვანისა და 24 საათის განმავლობაში შენახვის საფასურში ცვლილება შედის.

კერძოდ, როგორც დედაქალაქის მერიაში აღნიშნავენ, სატრანსპორტო საშუალებების ევაკუაციის საფასურად განისაზღვრა 150 ლარი, ხოლო აღნიშნულ სადგომზე ავტომობილის დამატებით დგომის ფასი შეადგენს 20 ლარს.

ცვლილება ძალაში 31 მარტიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებაN 22.444.485 საფუძველზე შევა.

„პუტინისგან ყველაფერი მოსალოდნელია, მათ შორის, ბირთვული ომის დაწყებაც“

ვახტანგ მაისაია: „გაზაფხულზე უკრაინა ბიოლოგიური ეპიდემიების ტალღამ შეიძლება წალეკოს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.

– ბატონო ვახტანგ, აჟიოტაჟია უკრაინის უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს მდივნის დანილოვის განცხადებაზე, რომელმაც თქვა, თუკი სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე დამატებითი ფრონტები გაიხსნება, რუსეთის თავდასხმის მოგერიებაში დაეხმარება. მგონი, პირველ რიგში, საქართველო იგულისხმებოდა.

– არა მარტო.

– დიახ, მოლდოვაც იგულისხმებოდა. თქვენ როგორ აფასებთ დანილოვის განცხადებას? არის თუ არა უკვე ისეთი მომენტი შექმნილი, როდესაც საქართველოს შეუძლია ომში ჩაერთოს და იქიდან სასურველი დადებითი შედეგი მიიღოს?

– ბატონ დანილოვის მესმის. ახლა უკრაინა მძიმე მდგომარეობაშია. ამიტომ ის აჟიოტაჟი, რომელიც მის განცხადებასთან დაკავშირებით არის, ცოტა გადაჭარბებულად მიმაჩნია. მძიმე ომის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის ერთ-ერთ ხელმძღვანელს ხომ უნდა გავუგოთ. როდესაც მის თვალწინ ბავშვები, მოხუცები, ქალები იოცებიან და, ფაქტობრივად, ქვეყანა ნაწილებად იშლება. უკრაინა პირდაპირი აგრესიის მსხვერპლია და ცერემონიალებისა და ემოციის შეზღუდვის საშუალება არ არსებობს. ამიტომ დანილოვის აბსოლუტურად მესმის.

– თუმცა, ასეთი განცადებები ზოგიერთ პარტიებსა და ჯგუფებს საქართველოში ხელისუფლების წინააღმდეგ განაწყობს.

– გასაგებია. დამატებითი ფრონტის გახსნა მხოლოდ უკრაინის ხელისუფლების აზრი არ არის. უკრაინის რადიოსა და ტელევიზიების სახელმწიფო არხებზე ჩართვა მქონდა და არაერთხელ დამისვეს კითხვა, საქართველო რატომ არ ახორცილებს იმ ქმედებას, რაც მან უნდა განახორციელოს, ანუ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

ამრიგად, დამატებითი ფრონტის გახსნა არა მხოლოდ უკრაინის ხელისუფლების, არამედ უკრაინელი ხალხის აზრია. მათი აბსოლუტურად მესმის. მე ვცდილობ წყნარად და ემოციების გარეშე ავუხნა, რომ საქართველო უკრაინა არ არის. საქართველოს არ გააჩნია ის პოტენციალი და უნარი, რომ ომით დაიბრუნოს ტერიტორიები. ჩვენ უკვე არაერთხელ ვცადეთ, აფხაზეთი საომარი მოქმედებებით დაგვებრუნებინა.

– დიახ, ვცადეთ, მაგრამ უარესი მოხდა.

– გავიხსენოთ 1998 წლების გალის მარუნა, 2001 წელს სოხუმზე გალაშქრება – გილაევის რაზმის გადასვლას ვგულისხმობ. 2008 წლის აგვისტოს ომიც ამ კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ვცადეთ, მაგრამ ცუდი შედეგებით დასრულდა. ჩვენ, როგორც იტყვიან, ერთი და იგივე მდინარეში სამჯერ შევედით. რა თქმა უნდა, ამ ეტაპზე ჩვენ არ გვყავს თავდაცვითი ძალები და არც საზოგადოებაა მზად საომარი მოქმედებებისთვის.

– მოლდოვა?

– მით უმეტეს, მოლდოვას მიერ კიდევ ერთი ფრონტის გახსნაზე, საერთოდ, ლაპარაკი ზედმეტია. მოლდოვას შეიარაღებული ძალები 6 ათას კაცს ითვლის. მოლდოვას თავის დნესტრისპირეთთან იდეალური ურთიერთობა აქვს. ნეტა, ისეთი ურთიერთობა ჩვენ გვქონდეს ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან. გამიკვირდა უკრაინელების დამოკიდებულება, რადგან მოლდოვა ძალისმიერი გზით მოქმედებაზე არ ფიქრობს, რადგან მოლდოველები დნესტრისპირეთთან კარგად ინტეგრირებული არიან.

პოლიტიკური საკითხი არსებობს და რუსული საოკუპაციო ძალების ფაქტორია, თორემ მოლდოვა და დნესტრისპირეთი ერთმანეთთან ურთიერთობას დიდი ხანია დაარეგულირებდნენ.

მოლდოვური ენა სეპარატისტულ ტერიტორიაზე, დნესტრისპირეთში სახელმწიფო ენაა.

„2008 წელს ომი რუსებმა დაიწყეს, მაგრამ ჩვენ ხაფანგში გაგვაბეს“

მოლდოვას დანარჩენ ტერიტორიაზე და დნეტრისპირეთში მცხოვრები მოსახლეობა ერთმანეთთან ჩვეულებრივად გადადიან და გადმოდიან, კომუნიკაციის პრობლემა არ აქვთ. პირიქით, დნესტრისპირული სეპარატისტული საფეხბურთო გუნდები მოლდოვას ჩემპიონატში მონაწილეობენ, დნესტრისპირეთში წარმოებული პროდუქცია მოლდოვას საერთაშორისო ბაზარზე გაა ქვს.

მოლდოვამ აჩვენა, კონფლიქტი მშვიდობიანად როგორ უნდა მოაგვარო. ჩვენ ეს მატარებელი 2005 წელს გავუშვით. ლუბლიანის ეუთოს სამიტზე ჩვენ გვქონდა შანსი, როგორც მოლდოვამ მოახდინა მოლდოვასა და დნესტრისპირეთის სეპარატისტული რეგიონის რბილი ინტეგრაცია, ისე, 2005 წელს, საქართველოსაც გაეკეთებინა, მაგრამ მაშინ ომის პარტიამ სხვა გადაწყვეტილება მიიღო.

– ახლა 2008 წლის ომამდელი მდგომარეობაც რომ გვქონდეს, წინ ვიქნებოდით.

– დიახ, რბილი ინტეგრაციის შანსი ჩაგვიშალეს. ომის პარტიამ გაიმარჯვა და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. ცხადია, ომი რუსებმა დაიწყეს, მაგრამ ჩვენ ხაფანგში გაგვაბეს.

ამ ეტაპზე, საქართველოს არც ომის წარმოების უნარი აქვს და არც იმის შანსი, რომ სიტუაციაზე რეაგირება მოვახდინოთ.

– კადრები გავრცელდა, ოკუპირებული ტერიტორიებს რუსული ტანკები ტოვებენო.

– ტანკები გავიდა და ადეკვატური ძალა შემოვიდა. ცხინვალიდან და აფხაზეთიდან გაიყვანეს ის აფხაზი და ოსი ბოევიკები, ვისაც ქალაქის პირობებში ბრძოლისა და პარტიზანული ბრძოლების გამოცდილება ჰქონდათ. ოსები და აფხაზები დღეს მარიუპოლის ტერიტორიაზე იბრძვიან, ანუ სპეციალიზებული ცოდნის მებრძოლები გაიყვანეს, სამაგიეროდ, 58-ე არმიის ნაწილები შემოიყვანეს.

– გაყვანილი ჯარის სანაცვლოდ შემოყვანილ ჯარზე არაავინ საუბრობს.

– არ აქვთ ინფორმაცია. მე პირადად ვნახე კადრები და ერთი ტაქტიკური საბატალიონე ჯგუფი დავაფიქსირე. ეს დაახლოებით 30-მდე საბრძოლო ტანკი და საბატალიონე ტაქტიკური ჯგუფი, ცოცხალი ძალაა, რომელიც 58-ე არმიის ეგიდით შემოვიდა.

– ე.ი. რუსეთს ოკუპირებული ტერიტორიები არ მიუტოვებია.

– ბუნებრივია, ამის ილუზია არ უნდა გვქონდეს. დღევანდელი ჩვენი ხელისუფლების პოზიცია აბსოლუტურად ადეკვატურია, რეალისტურია და შეესაბამება იმ რეალობას, რაც ჩვენ ირგვლივაა. ჩვენი გეოპოლიტიკური ფონი საკმარისად მძიმეა. ხომ ხედავთ, მთიან ყარაბაღშიც რუსეთმა აზერბაიჯანის მხარეს უკან დაახევინა. შესაბამისად, აზერბაიჯანმაც კი ვერ გამოიყენა ის ფონი, რომელიც არის და ითვლებოდა, თითქოს რუსეთმა უკრაინაში ფიასკო განიცადა, აზერბაიჯანმა დაიპირა ტერიტორიის დაკავება, მაგრამ რუსეთმა უკან დაახევინა.

– აცხადებენ, რომ რუსები ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებს ტოვებენ და ორივე რეგიონში მოსალოდნელია კრიმინალის გაზრდა. ჰუმანიტარული კატასტროფა, კლანების დაპირისპირება, რაც შეიძლება სისხლისღვრაში გადაიზარდოს. ამ სიტუაციაში როგორ შეიძლება ვიმოქმედოთ?

– ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალში ეგეთ რაღაცებს ვერ ვამჩნევ. კლანები და რთული კრიმინალური ვითარება უკრაინის ომამდეც რთული იყო. ოკუპირებულ ცხინვალში ჩატარდა ე. წ. არჩევნები, რომელშიც კოკოითიც მონაწილეობდა და ბიბილოვიც. სიტუაცია არ შეცვლილა, ვითარება ისეთივე დარჩა, რაც მოსკოვს აწყობს. ჩვენთვის, სამწუხაროდ, სიტუაცია არ შეიცვალა. ყველაფერი ძველებურადაა. ამიტომ მაინცდამაინც დიდი ილუზიები არ უნდა გვქონდეს.

კარგი, ვთქვათ, რუსეთი გავიდა (ჰიპოთეტურად). ჩვენ გვაქვს იმის უნარი, რომ ტერიტორიები დავიკავოთ? რა თქმა უნდა, არა.

– უნარის ქონა ერთია. მეორეა, გვინდა ტერიტორიები და მოსახლეობა მშვიდობიანად დავიბრუნოთ.

– რა თქმა უნდა, მოლდოვის ვარიანტი ჩვენვის ოპტიმალურია. მოლდოვა თანდათან იბრუნებს დნესტრისპირეთს. ისე უნდა გავაკეთოთ ჩვენც.

– უკრაინაში სტრატეგიული ინიციატივა ვის ხელშია?

– სამწუხაროდ, სტრატეგიული ინიციატივა კვლავ რუსების ხელშია. ამას მოწმობს მარიუპოლის ბრძოლები, იგივე დონბასში წარმოებული საბრძოლო მოქმედებები. რუსები, ფაქტობრივად, გადავიდნენ მოგუდვის სამხედრო სტრატეგიაზე, რომელიც ითვალისწინებს უკრაინის შეიარაღებული ძალების მართვის ცენტრის, მომარაგების, სამხედრო შენაერთების განადგურებას. ამიტომაც არის, რომ ზელენსკის ხელისუფლებამ სასწრაფო წესით 500-მდე საბრძოლო ტანკისა და შეიარაღების გადმოცემა მოითხოვა.

შეიარაღება, რომელსაც დასავლეთი უკრაინას უგზავნის, საკმარისი არ არის რუსეთის სტრატეგიული ინიციატივის გადაჭრისთვის. უკრაინის შეიარაღებული ძალები გმირულად იბრძვიან, ფრონტის ხაზებზე გარკვეულ პროგრესს აღწევენ, კონტრშეტევაზე გადადიან და ფსიქოლოგიური შიში დაძლეული აქვთ, რუსეთის უძლეველობის მითიც დანგრეულია, მაგრამ რუსეთის შეიარაღებული ძალები უკრაინისთვის საკმაოდ სერიოზულ გამოწვევად რჩება.

– ამბობენ, რომ რუსეთმა გეგმები შეცვალა. ოკუპანტს აღმოსავლეთ უკრაინის დაპყრობა სურს და არა დასავლეთი უკრაინისა და კიევის. ანუ ყურადღება მახვილდება დონეცკისა და ლუგანსკის წართმევის ინტერესზე

– ეს მომენტიც არის. როგორც ჩანს, რუსები ხანგრძლივი ომის პრინციპებზე გადავიდნენ. მთავარი იდეა იქნება, რუსეთმა ლუგანსკისა და დონბასის ტერიტორია დაიკავოს და სეპარატისტებს მთლიანი ტერიტორიის გაკონტროლების საშუალება მისცეს.

ასევე დონბასში არსებული ყველაზე ბრძოლისუნარიანი ოპერატიული ჯგუფი ალყაში მოაქციოს და მისი განადგურება შეძლოს. ასევე ჩანს, რომ რუსების მთავარი დარტყმის ობიექტი ზაპოროჟიე და დნეპრი იქნება.

– აშშ-მა განაცხადა, რომ შეტევითი ოპერაციის ჩავარდნის გამო, რუსეთი ყურადღებას აღმოსავლეთ უკრაინის ხელში ჩაგდებაზე ამახვილებს და კიევის აღებაზე აღარ ფიქრობსო.

– რუსეთს ჩაუვარდა იოლი ბლიცკრიგის სტრატეგია, ანუ შეტევითი ბლიცკრიგის სტრატეგია ჩაუვარდა, მოგუდვის სამხედრო სტრატეგია აამოქმედა, თანამედროვე იარაღი გამოაჩინა და ცდილობს, ფსიქოლოგიური ზეწოლა მოახდინოს არა მარტო უკრაინაზე, არამედ დასავლეთის სახელმწიფოებზე.

ბაიდენი ვარშავაში რომ გამოდიოდა, კრემლმა შეგნებულად დაბომბა ლვოვის სამოქალაქო და სამხედრო ინფრასტრუქტურა, ეს იყო კრემლის პასუხი ბაიდენის გამოსვლაზე. ამდენად, რუსების მიდგომა შეიცვალა, უბრალოდ, იოლი ბლიცკრიკიდან ხანგრძლივი მოგუდვის სტრატეგიაზე გადავიდა.

– ახლა რუსეთი ხანგრძლივი მოგუდვის სტრატეგიით მოქმედებს?

– დიახ. პარალელურად სტამბოლში მოლაპარაკებები მიმდინარეობს. მოლაპარაკებებს თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი ჩაუდგა სათავეში, ანუ თურქეთის პრეზიდენტი მედიატორი გახდა. თურქეთმა ამით საფრანგეთი გააცურა. მაკრონს უნდოდა მედიატორი გამხდარიყო, მაგრამ ერდოღანმა ეს მისია თავის თავზე აიღო.

– არსებულ ვითარებაში მოლაპარაკებები შედეგიანი იქნება? როდესაც მთელი უკრაინა დანგრეულია და ბრძოლები თითქმის არ ჩერდება.

– ამ ეტაპზე ნაკლებად მგონია, რომ მოლაპარაკებები შედეგიანი იქნება. 6 პუნქტიდან 4 პუნქტზე შეთანხმება თითქოს მიღწეულია, მაგრამ რჩება ძალიან რთული საკითხი – უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა, უკრაინელები რუსებისაგან დონბასისა და ყირიმის დეოკუპაციას უკვე მოითხოვენ, რაზეც რუსები პრინციპულად არ თანხმდებიან. მათთვის მიუღებელი წინადადებაა. ამიტომ ომი კიდევ უფრო გაჭიანურდება.

ჰუმანიტარული დერეფნის გახსნისა და ტყვეების გაცვლის თემა იქნება წამოწეული. უკრაინაში ჰუმანიტარული კატასტროფაა. ფაქტობრივად, უკრაინის ცაზე შიმშილის აჩრდილი აკიაფდა, რამაც შეიძლება მთლიანად რეგიონისთვის კატასტროფული შედეგები გამოიწვიოს.

ფაქტობრივად, ქალაქების დიდ ნაწილში დიდი რაოდენობით სამხედრო და სამოქალაქო პირების ცხედრებია. საუბარია ჰუმანიტარულ კატასტროფაზე. საომარი მოქმედებების პიროებებში დიდი რაოდენობით ადამიანები იღუპება, განსაკუთრებით, მარიუპოლში, ნიკოლაევში, კიევსა და მის შემოგარენში ბარბაროსული მეთოდებით იბრძოდნენ. მოსალოდნელია ჰუმანიტარული კატასტროფა ლტოლვილების სახითაც.

სამმა მილიონმა ადამიანმა უკრაინის ტერიტორია დატოვა. პოლონეთის ხელისუფლება ლტოლვილებს უკვე ძლივს აუდის. საკმაოდ სერიოზული სიტუაციაა მოლდოვაში. კიდევ რამდენი მილიონი ადამიანი დატოვებს უკრაინას, ცალკე საუბრის თემაა.

ლტოლვილების პრობლემა ევროპისთვის დილემურია. მიგრაცია, შიმშილი და ჰუმანიტარული კატასტროფაა მოსალოდნელი, რადგან ეპიდემიური დაავადებებიც შეიძლება გავრცელდეს. კოვიდთან დაკავშირებით მძიმე ვითარებაა, ბიოლოგიური დაავადებების გავრცელება დიდი კატასტროფა იქნება, რადგან ძალიან ბევრი ცხედარია.

მით უმეტეს, ახლა გაზაფხული მოდის. სანამ ყინვები იყო, ეს პრობლემა არ ჩანდა. დათბა და გაზაფხულზე უკრაინა ბიოლოგიური ეპიდემიების ტალღამ შეიძლება წალეკოს.

– დასავლეთი უკრაინას სათანადოდ არ ეხმარებაო. რატომ ფრთხილობს დასავლეთი, უკან რატომ იხევს?

– ისევ რუსეთის ფაქტორის გამო. გავერაგებული პუტინისაგან ყველაფერია მოსალოდელი, მათ შორის, ბირთვული ომის დაწყებაც. პუტინი ყველაფერზეა წამსვლელი. დასავლეთის სახელმწიფოებს ეს აშინებთ.

– ანუ პუტინს ამარჯვებინებენ?

– დაახლოებით ასეა.

– პუტინის გამარჯვება რა შედეგს მოიტანს?

– უნდა მოხდეს ჰუმანიტარული კატასტროფის აღმოფხვრა, თორემ, ამან შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს. პუტინი უკან არ იხევს. არც უკრაინელები იხევენ უკან. ფაქტობრივად, გოლოდომორის გამოწვევაზეა საუბარი. ეს არის შიმშილი და ლტოლვილების დიდი ნაკადი, რომელმაც, შეიძლება, მთელი ევროპა წალეკოს. 40-მილიონიანი უკრაინის ქალაქები ბარბაროსულად იბომბება, რაც ლტოლვილების ახალ ნაკადს გამოიწვევს. შეიძლება ბიოლოგიური ეპიდემია გავრცელდეს. ბიოეპიდემიური საფრთხეები გაჩნდეს.

გარდა ამისა, პუტინმა შეიძლება გამოიყენოს მასობრივი განადგურების იარაღი. უკრაინა გეოპოლიტიკური ჩიხის პირასაა და საფრთხე ემუქრება მთლიანად ევროპულ უსაფრთხოებას.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ეუთო-ს თავმჯდომარეს, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ზბიგნევ რაუს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მოქმედ თავმჯდომარეს, პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ზბიგნევ რაუს შეხვდა.

მხარეებმა უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად რეგიონში შექმნილი უსაფრთხოების გამოწვევები განიხილეს.

პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საქართველო სოლიდარობას უცხადებს უკრაინას, ეხმარება ქვეყანას ჰუმანიტარულად და მხარს უჭერს პოლიტიკურად, აგრეთვე ყველა საერთაშორისო ფორმატში. პრემიერმა ხაზი გაუსვა საერთაშორისო თანამეგობრობის უმნიშვნელოვანეს როლსა და ქმედით ნაბიჯებს ომის რაც შეიძლება მალე დასრულებისთვის.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეუთო-ს თავმჯდომარეობის პერიოდში სამომავლო თანამშრომლობას და ამ კონტექსტში რეგიონალური უსაფრთხოების საკითხებს. ირაკლი ღარიბაშვილმა ზბიგნევ რაუსთან საუბრისას ხაზი გაუსვა ეუთო-ში პოლონეთის თავმჯდომარეობის პერიოდში საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის საკითხის მაღალ დონეზე შენარჩუნების მნიშვნელობას, ასევე ეუთო-ს მონაწილეობას ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების პროცესში და ფორმატის ეფექტიანად გამოყენებისა და ხელშესახები შედეგების მიღწევის საჭიროებას. ყურადღება გამახვილდა ინციდენტებისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ეფექტური თანათავმჯდომარეობის მნიშვნელობაზე. ხაზი გაესვა საქართველოს მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკას.

პოლონელმა დიპლომატმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, ისევე, როგორც ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მტკიცე მხარდაჭერა.

შეხვედრისას პრემიერ-მინისტრი მიესალმა იმ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტებს, რომლებიც ეუთო-ს თავმჯდომარეობის პერიოდში პოლონეთის მხრიდან არის გაცხადებული. მთავრობის მეთაურმა პოლონეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელს მადლობა გადაუხადა საქართველოში ვიზიტისთვის.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას პოლონეთის მხრიდან: საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში მარიუშ მაშკევიჩი, პოლონეთის ელჩი მონტენეგროში, ეუთო-ს თავმჯდომარის სპეციალური წარმომადგენელი არტურ დმოხოვსკი, პოლიტიკური დირექტორი საგარეო საქმეთა სამინისტროდან ვიტოლდ სობკუვი, პოლონეთის ეუთო-ს თავმჯდომარეობის საორგანიზაციო ოფისის ხელმძღვანელი პაველ კოტოვსკი, ეუთო-ს თავმჯდომარის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში ვიორელ მოშანუ და ეუთო-ს სამდივნოს ექსპერტი სამხრეთ კავკასიის საკითხებში ზიგფრიდ ვიობერი, ხოლო საქართველოს მხრიდან: ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ილია დარჩიაშვილი და საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ეუთო-ში, საქართველოს ელჩი ავსტრიაში ქეთევან ციხელაშვილი ესწრებოდნენ.

ირანის მოქალაქეს 10 წელი მიესაჯა

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე ბრალდებული 26 პირი დამნაშავედ ცნეს

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები სრულად გაიზიარა და ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი ცრუ მეწარმეობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, ცამეტი ფიზიკური და ცამეტი იურიდიული პირი დამნაშავედ ცნო.

ინფორმაციას ამის შესახებ საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

მისივე ცნობით, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქემ ფ.ნ.-მ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი შექმნა, რომლის მიზანსაც საქართველოს საბაჟო საზღვარზე, დადგენილი პროცედურების გვერდის ავლით, საზღვარგარეთიდან განსაკუთრებით დიდი ოდენობით უცხოური ვალუტის შემოტანა და ფიქტიური საწარმოების საბანკო ანგარიშებზე განთავსების გზით, კანონიერი სახის მიცემა წარმოადგენდა.

„დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების ფუნქციებში შედიოდა – სამეწარმეო განზრახვის გარეშე იურიდიული პირების შექმნა, საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, სატრანსპორტო საშუალებებში მოწყობილი სპეციალური სამალავების მეშვეობით, საზღვარგარეთიდან საქართველოში თანხის მალულად შემოტანა, შემდგომში დანაწევრება და გამოგონილი დანიშნულებით ფიქტიური საწარმოების საბანკო ანგარიშებზე განთავსება. ასევე, ყალბი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის დამზადება და მათ საფუძველზე სხვადასხვა ქვეყანაში საბანკო გადარიცხვების განხორციელება.

წინასწარ შემუშავებული სქემის შესაბამისად, ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე ფ.ნ.-მ ორგანიზებული ჯგუფის წევრების მეშვეობით, სამეწარმეო სუბიექტად ცამეტი იურიდიული პირი დაარეგისტრირა, რომელთაც ანგარიშები საქართველოში მოქმედ საბანკო დაწესებულებებში გაუხსნეს, რის შემდგომაც საქართველოში, მათ შორის, საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, საზღვარგარეთიდან შემოტანილი და ნაწილობრივ სახეცვლილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო და დაუსაბუთებელი თანხები, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა, მისი უკანონო წარმომავლობის შესანიღბად, დაანაწევრეს და გამოგონილი დანიშნულებით მათ მფლობელობასა და მმართველობის ქვეშ არსებული საწარმოების საბანკო ანგარიშებზე განათავსეს.

შემდგომში, მართლსაწინააღმდეგოდ შეკავშირებულმა პირებმა, მათ მიერ დამზადებული და საბანკო დაწესებულებებში წარდგენილი ყალბი ინვოისების და ხელშეკრულებების საფუძველზე, თითქოსდა სხვადასხვა საქონლის შეძენის დანიშნულებით, საწარმოების საბანკო ანგარიშებიდან სხვადასხვა ქვეყანაში მრავალჯერადი ტრანზაქციები განახორციელეს.

სისხლის სამართლის საქმეზე მოძიებული და დაყადაღებული იქნა დანაშაულის ორგანიზატორის და მასთან დაკავშირებული პირების მიერ, დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლით შეძენილი უძრავ-მოძრავი ქონებები, კერძოდ: თბილისში მდებარე ოთხი საცხოვრებელი ბინა, თბილისში მდებარე კომერციული დანიშნულების ფართი, ქვემო ქართლისა და გურიის მხარეში არსებული, ჯამში 6.230 კვ.მ. მიწის ნაკვეთები, რუსთავში მდებარე, სამრეწველო დანიშნულების 314.437 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა, აგრეთვე, ძვირადღირებული ავტომობილები.

დანაშაულის ორგანიზატორი – ფ.ნ. თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-193-ე მუხლით და 25-194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად 10 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

მასვე, სახელმწიფოს სასარგებლოდ, ჩამოერთვა 4.288.033 ლარის ღირებულების უძრავი ქონებები, 2 ავტომანქანა, 42 ერთეული კომპიუტერული ტექნიკა და საწარმოების საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხები.

საქმეზე ბრალდებულ 13 იურიდიულ პირს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, 10 წლის ვადით სამეწარმეო საქმიანობის უფლება ჩამოერთვათ და თითოეულს 100.000 ლარის ოდენობით ჯარიმა დაეკისრათ.

რაც შეეხება, დანაშაულებრივი ჯგუფის 12 წევრს, რომლებმაც გამოძიებასთან ითანამშრომლეს და მათ მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია მიაწოდეს – მათ საპროცესო შეთანხმება გაუფორმდათ.

ისინი ცნობილი იქნენ დამნაშავედ ცრუ მეწარმეობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის და პირობით სასჯელთან ერთად 517.000 ლარის ოდენობით ჯარიმა დაეკისრათ.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს. პროკურატურა მსგავსი საქმიანობით დაკავებული სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების გამოვლენის და მხილების მიზნით, საერთაშორისო თანამშრომლობას აქტიურად აგრძელებს“ – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

წალენჯიხელ გელა აბულაძეს ბრალი წარუდგინეს

აბულაძე თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს

წალენჯიხის საკრებულოს წევრს, პარტიიდან „საქართველოსთვის“, გელა აბულაძეს ბრალი წარუდგინეს.



როგორც მისმა უფლებადამცველმა, ლაშა თოდუამ, ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, გელა აბულაძე ბრალს არ აღიარებს.

– გელა აბულაძეს ბრალი წარედგინა 180-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, რაც სრული აბსურდია. გელა აბულაძე არ აღიარებს მოცემულ ბრალდებას. ის აპირებს მის ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი შესაძლებლობის გამოყენებას, რათა დამტკიცდეს მისი უდანაშაულობა სასამართლო პროცესებზე. გელა აბულაძე დაკავებას უკავშირებს პოლიტიკურ საქმიანობას, – აღნიშნავს ლაშა თოდუა.

ამასთან ადვოკატი განმარტავს, რომ ბრალდება აბსურდულია და გელა აბულაძე აღკვეთის ღონისძიების გარეშე უნდა დარჩეს. მისივე თქმით, შესაძლოა, სასამართლო პროცესზე ალტერნატივის სახით გირაოს წინადადება დააყენონ.

– გელა აბულაძე გამორიცხავს ამ საქმესთან ყოველგვარ მონაწილეობას. მისი განცხადებით, ეს შურისძიებაა იმ პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, რაშიც ჩართული იყო, – აცხადებს ლაშა თოდუა.

როგორც პარტია „საქართველოსთვის“ აღმასრულებელი მდივანი, ბერდია სიჭინავა, აღნიშნავს, „აღნიშნული კრიმინალური დრამა“ სიმართლესთან კავშირში არ არის და იმედოვნებს, რომ გელა აბულაძის უდანაშაულობის დამტკიცებას შეძლებენ.

– გელა აბულაძეს ედავებიან აბსურდულ ბრალდებას, თითქოს მან სახელმწიფოსგან უკანონოდ დაისაკუთრა მიწის ნაკვეთები. ეს კრიმინალური დრამა, რომელიც შემოგვთავაზა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა, საერთოდ არ არის სიმართლესთან კავშირში. ვფიქრობ, შევძლებთ მის უდანაშაულობის დამტკიცებას და მალე გათავისუფლდება, – აღნიშნავს ბერდია სიჭინავა.

ამასთან, ის აღნიშნავს, რომ გელა აბულაძის დაკავებას რამდენიმე მიზანი აქვს.

– ერთ-ერთი მიზანი არის ის, რომ ხელისუფლებამ მესიჯი გაუგზავნა ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებს და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებიდან არჩეული საკრებულოს წევრებს, რომ თუ ისინი გააგრძელებენ პოლიტიკურ აქტივობას ეს ბედი ელით, როგორიც გელა აბულაძის შემთხვევაში დაფიქსირდა.

მეორე მესიჯიც არის, იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მარცხი იწვნია „ქართულმა ოცნებამ“ და წარმომადგენლობითი ორგანოები დაკომპლექტდა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებით, ეს მოცემულობა შეცვალონ, – აღნიშნავს სიჭინავა.

ცნობისთვის, ანტიკორუფციულმა სააგენტომ წალენჯიხის საკრებულოში გახარიას პარტიის წევრი დეპუტატი გელა აბულაძე დააკავა. სუს-ის ინფორმაციით, წალენჯიხის საკრებულოში გახარიას პარტიის წევრი „წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით თაღლითობის ფაქტზეა“ დაკავებული.

„პროკურატურა წალენჯიხის საკრებულოს წევრის და მერის წარმომადგენლის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობას მოითხოვს, ასევე, სხვა ბრალდებულების მიმართ აღკვეთი ღონისძიების გამოყენების თაობაზე, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

გამოძიება გრძელდება დანაშაულში მონაწილე სხვა შესაძლო პირთა დადგენისა და მხილების მიზნით“ – ნათქვამია საქართველოს პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ზუგდიდში სახლის წინ მანქანას ნაღმავდნენ

2 პირი დააკავეს

ზუგდიდში საცხოვრებელი კორპუსი აფეთქებას გადაურჩა.

ერისთავის ქუჩაზე პოლიციამ ორი პირი იმ დროს დააკავა, როცა საერთო საცხოვრებლის წინ მდგარ მანქანაზე ასაფეთქებელ მოწყობილობას ამონტაჟებდნენ.

წინასწარი ინფორმაციით, ჰექსოგენისა და ტროტილისაგან კუსტარულად დამზადებული ასაფეთქებელი მოწყობილობა მაგნიტის ფირფიტაზე იყო დამაგრებული და საათის მექანიზმზე მუშაობდა.

მოწყობილობა ამოღებულია.

ადგილობრივების ინფორმაციით, ერთ-ერთი დაკავებული წლებია რუსეთში ცხოვრობს. ჯერჯერობით უცნობია, დაკავებულები აფეთქებას რა მოტივით ახორციელებდნენ. სამართალდამცავები აფეთქების მოტივზე არ საუბრობენ.

წინასწარი ინფორმაციით, ისინი დ.ჯ-ს მანქანის ქვემოთ ჰექსოგენის და ტროტილის შემცველ ასაფეთქებელს ამაგრებდნენ. ერთ-ერთი დაკავებულია ჯ.კ, მეორეს ვინაობას „მთავარი არხი“ ადგენს.

ასაფეთქებელი, სავარაუდოდ, კორპუსის ერთ ფლიგელს ჩამოშლიდა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით მიმდინარეობს.

„ოცნებამ“ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების განხილვა გადადო

29 მარტს პარლამენტს უნდა ემსჯელა „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით.

კანონპროექტი დაჩქარებული წესით უნდა განეხილათ, თუმცა მმართველმა გუნდმა განაცხადა, რომ 2 კვირით საკითხზე მსჯელობა გადაიდება.

ოპოზიცია ამბობს, რომ ცვლილებების რეალური მიზანი სალომე ზურაბიშვილის „დასჯაა“. მმართველი გუნდი ახლა ოპონენტებისგან არგუმენტებს ელოდება.

ცნობისთვის, იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი ცვლილებათა პაკეტს მიიღებს, საკონსტიტუციო სასამართლოს ექნება უფლება, პრეზიდენტს კონსტიტუციის დარღვევა დაუდგინოს, არა მხოლოდ აქტის, არამედ მოქმედება-უმოქმედობის საფუძველზეც.

„ქართულ ოცნებას“ ცვლილებები საკონსტიტუციო სასამართლოში დავის დასაწყებად სჭირდება.

ზუგდიდში მამაკაცის ცხედარი იპოვეს

ზუგდიდის სოფელ ინგირში, სასაფლაოს მიმდებარედ, მამაკაცის ცხედარი იპოვეს.

ცხედარს ქუთაისში ექსპერტიზა ჩაუტარდა.

პიროვნების ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია. ადგილზე პოლიცია იყო მობილიზებული.

საწვავის ფასების აქციაზე დაკავებული 3 პირი მოსამართლემ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო

საწვავის ფასებთან დაკავშირებით თბილისში გამართულ საპროტესტო აქციაზე ადმინისტრაციული წესით დაკავებულებიდან 3 პირი მოსამართლე ნინო შჩერბაკოვამ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო.

იესე კვიციანს, თორნიკე გაგნიძესა და გიორგი გოგოლაძეს ადმინისტრაციული სახდელის სახით 2.000-ლარიანი ჯარიმა დაეკისრათ.

დაკავებულებიდან სამივე პირი სასამართლო პროცესზე აცხადებდნენ, რომ მათ პოლიციელები ხელით ეხებოდნენ და ასე მოუწოდებდნენ გზის სავალი ნაწილის გათავისუფლებას, რასაც მათი უკმაყოფილება მოჰყვა.

დაკავებულები მათი მხრიდან სამართალდამცავების მისამართით შეურაცხყოფას უარყოფენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით კი, აღნიშნული პირები საზოგადოებრივ წესრიგს არღვევდნენ, პოლიციელების კანონიერ მოთხოვნას არ ემორჩილებოდნენ და უშვერი სიტყვებით ილანძღებოდნენ.

რაც შეეხება დანარჩენ პირებს, მათი სასამართლო პროცესები გადაიდო.

ცნობისთვის, საწვავის ფასებთან დაკავშირებით თბილისში გამართულ საპროტესტო აქციაზე ადმინისტრაციული წესით 20 პირი დააკავეს.

აქციის მონაწილეები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე და 166-ე მუხლებით დააკავეს, რაც წვრილმან ხულიგნობასა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევას გულისხმობს.

საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე ბაკურ აბულაძე გფბ-ს ატაშეს სტივენ იანგს შეხვდა

საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე ბაკურ აბულაძე გამოძიების ფედერალური ბიუროს რეგიონულ სამართლებრივ ატაშეს ანტიკორუფციულ საკითხებში სტივენ იანგს შეხვდა.

შეხვედრას საქართველოს გენერალური პროკურატურის და საქართველოში აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებმა სტუმრებს კორუფციულ დანაშაულზე გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების სფეროში საქართველოს კომპეტენტური ორგანოების მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს.

მხარეებმა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს პროკურატურის როლს, უწყებებს შორის კოორდინაციას და საერთაშორისო თანამშრომლობას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს. ასევე, სტუმრებმა საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებს აშშ-ის კორუფციულ საქმეებზე გამოძიების ჩატარების გამოცდილება გაუზიარეს.

შეხვედრის დასასრულს მხარეებმა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საქართველოსა და აშშ-ის კომპეტენტურ ორგანოებს შორის არსებულ თანამშრომლობის მნიშვნელობას გაუსვეს ხაზი და ანტიკორუფციული მიმართულებით შესაძლო ერთობლივი აქტივობების თაობაზე მოსაზრებები გაცვალეს.

ჯონსონი: „პუტინი სიტუაციას გააუარესებს“

ბრიტანეთი მზადაა, უკრაინას უსაფრთხოების გარანტორად დაუდგეს

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა მინისტრთა კაბინეტს განუცხადა, რომ მას სურს უკრაინას მეტი სასიკვდილო იარაღი მიაწოდოს, რადგან ვლადიმერ პუტინმა შეიძლება სიტუაცია გააუარესოს.

ამის შესახებ ტაიმსი იტყობინება.

თავდაცვის შტაბის უფროსმა ადმირალმა სერ ტონი რადაკინმა მინისტრებს მიაწოდა ინფორმაცია, სადაც მან თქვა, რომ კონფლიქტი გადაიზარდა „გაცილებით ტრადიციულ ომში“, რადგან უკრაინა გადავიდა რუსული ძალების წინააღმდეგ ბრძოლის მცდელობიდან ტერიტორიების დაკავებასა და დაბრუნებაზე.

ჯონსონის თქმით, დიდი ბრიტანეთი გადადის უკრაინის მხარდაჭერის „ახალ ფაზაში“ და მთავრობა განიხილავს, რა სამხედრო აღჭურვილობის მიწოდებას შეუძლია:

– უკრაინის არმია არა მხოლოდ დიდ ქალაქებს იკავებს, არამედ რუსებს უკან დახევას აიძულებს. ამასთან ერთად, ჩვენი მხარდაჭერაც უნდა შეიცვალოს, – აღნიშნა მან.

ბრიტანეთი მზადაა, უკრაინას უსაფრთხოების გარანტორად დაუდგეს, თუკი ამას კიევი მოითხოვს.

ამის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა განაცხადა.

ბარბარა ვუდვორდის თქმით, ბრიტანეთის ხელისუფლება უკრაინას მნიშვნელოვან ჰუმანიტარულ დახმარებას და სამხედრო მხარდაჭერას უწევს. უკრაინის დასახმარებლად გამოყოფილი საერთო თანხა 400 მილიონზე მეტ ფუნტ სტერლინგს შეადგენს. ამის გარდა, ბორის ჯონსონსა და ვოლოდიმირ ზელენსკის შორის ყოველდღიური სატელეფონო საუბრები იმართება.

– გვსურს, ყველა შესაძლო ხერხით ომის დასრულებას შევუწყოთ ხელი, უზრუნველვყოთ რუსული ჯარების გაყვანა. ჩვენ მოხარულები ვიქნებოდით, ამაში წვლილი შეგვეტანა, თუკი უკრაინის ხელისუფლება ამის შესახებ გვთხოვდა, – განაცხადა ვუდვორდმა.

დონეცკის რეგიონი კვლავ მძიმე დაბომბვებს განიცდის

დონეცკის რეგიონი კვლავ მძიმე დაბომბვებს განიცდის, განსაკუთრებით, უკრაინის ტერიტორიის გამყოფი ხაზის გასწვრივ.

ამის შესახებ ინფორმაციას სკაი ნიუსი ავრცელებს.

მისივე ინფორმაციით, დონეცკის ოლქის გუბერნატორმა სატელევიზიო მიმართვაში განაცხადა, რომ რეგიონში რუსული ძალების კონცენტრირება ხდება.

ამბობენ, რომ კიევში რუსული ძალები უკან იხევენ, რადგან კრემლი ცდილობს, კონფლიქტის ფოკუსირება სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე მოახდინოს, როგორიცაა დონეცკი და ლუგანსკი.

ეს არის ის ტერიტორიები, რომლებიც რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა, უკრაინაში შეჭრამდე რამდენიმე დღით ადრე დამოუკიდებლად აღიარა.

მარიუპოლში რუსებმა წითელი ჯვრით აღნიშნულ შენობას ესროლეს

აზოვის პოლკის ინფორმაციით, ქალაქ მარიუპოლში რუსმა ოკუპანტებმა წითელი ჯვრით აღნიშნულ შენობას ცეცხლი გაუხსნეს.

– რუსმა ოკუპანტებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ისინი არიან ომის დამნაშავეები, რომლებიც არ იცავენ ომის წესებსა და პრინციპებს. ამჯერად, მათ ჩაიდინეს ომის დანაშაული წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წინააღმდეგ.

ოკუპანტები მიზანმიმართულად ანადგურებენ თეთრ ფონზე წითელი ჯვრით გამოსახულ შენობას საჰაერო და საარტილერიო დაბომბვით, – ამბობენ აზოვის პოლკში.

პოლკი წერს, რომ ასეთი ჯვრები აღნიშნავს ადგილებს, სადაც შეიძლება იყვნენ დაჭრილები, სამოქალაქო ან ჰუმანიტარული ტვირთი.

მარიუპოლის საკრებულოს ინფორმაციით, რუსმა სამხედროებმა ლენინეცკის რაიონში მდებარე სამშობიარო კლინიკიდან სამედიცინო პერსონალი და პაციენტები, 70-ზე მეტი ადამიანი იძულებით გაიყვანეს.

საკრებულო წერს, რომ ოკუპანტები აგრძელებენ უკრაინელების იძულებით გადაყვანას რუსეთის ტერიტორიაზე. ცნობილია 20 ათასზე მეტ მოქალაქეზე, რომლებიც მარიუპოლიდან რუსეთში მათი ნების საწინააღმდეგოდ გადაიყვანეს.

– იმით, რასაც დღეს რუსეთი აკეთებს, ირღვევა ადამიანის ყველა შესაძლო საერთაშორისო უფლება. ეს შეიძლება შევადაროთ ფაშისტური ჯარების ქმედებებს მეორე მსოფლიო ომის დროს. მაგრამ ჩვენ არ დავტოვებთ მარიუპოლის არც ერთ მოქალაქეს, რომელიც რუსეთის ტერიტორიაზე ძალით გადაიყვანეს, – ამბობს ქალაქის მერი.

მანამდე რუსებმა თანამშრომლები და პაციენტები ქალაქის ნომერ პირველი საავადმყოფოდან გაიყვანეს.

კიევის თავზე რამდენიმე რაკეტა ჩამოაგდეს

გუშინ, 30 მარტს, კიევის თავზე რამდენიმე რაკეტა ჩამოაგდეს. ინფორმაციას უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მრჩეველი ვადიმ დენისენკო აცხადებს.

– ახლა რისი თქმაც შეიძლია, არის ის, რომ რამდენიმე რაკეტა ჩამოაგდეს დედაქალაქის თავზე, – განაცხადა დენისენკომ.

კიევში კრიმინოგენურ ვითარებაზე საუბრისას დენისენკომ აღნიშნა, რომ კიევში კრიმინოგენური ვითარება „ზოგადად საკმაოდ დაბალ დონეზეა“. მისი თქმით, სისხლის სამართლის დანაშაულები „იმაზე ბევრად ნაკლებია, ვიდრე ომამდე იყო“.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მეხუთე წაუგებელი, მეოთხე გოლგაუშვებელი

ალბანეთი-საქართველო 0:0

ტირანა. ეარ ალბანია

ალბანეთი: სტრაკოშა, ისმაილი, კუმბულა, ჯიმშიტი, როში (ლენიანი 77), ჰისაი, ასლანი, რამადანი (ჯასულა 66), ჩეკიჩი (ლაჩი 66), ბროია (ჩიკალეში 46), მანაი (ვრიონი 66)

საქართველო: მამარდაშვილი, დვალი, კაშია, კვირკველია (კობახიძე 66), ჩაბრაძე (მამუჩაშვილი 84), კვეკვესკირი (გვილია 76), აბურჯანია, დავითაშვილი (მექვაბიშვილი 76), წიტაიშვილი, ვოლკოვი (ლობჟანიძე 66), ყაზაიშვილი (ზივზივაძე 84)

საქართველოს ნაკრებმა, მარტის სანაკრებო ფანჯრის ფარგლებში, მე-2 ამხანაგური მატჩი გამართა. ბოსნია-ჰერცეგოვინასთან გამარჯვების შემდეგ, ვილი სანიოლის გუნდი ტირანაში ალბანეთის ნაკრებს ესტუმრა და დაუმარცხებელი სერია 5 მატჩამდე გაზარდა.

ალბანელებთან სანიოლმა რამდენიმე ტაქტიკური სქემა გამოიყენა: 3-4-2-1, 5-4-1, 5-2-2-1. თუმცა, ახლა ტაქტიკებს კი არ უნდა ამუშავებდეს, დამუშავებულ ტაქტიკებს უნდა ხვეწდეს, რადგან ივნისში ერთა ლიგის 4 მატჩი ელის და მანამდე არანაირი შესათამაშებელი შეხვედრა აღარ ექნება.

ტირანაში ჩატარებული შეხვედრა დაძაბული გამოდგა და გატანილი გოლების გარეშე, 0:0 დასრულდა. ვილი სანიოლის გუნდმა ზედიზედ მეოთხე მატჩში შეინახა მშრალად კარი, რომელსაც ამჯერად გიორგი მამარდაშვილი იცავდა.

მამარდაშვილის გარდა შეცვლილი იყო 3 მცველი – კაკაბაძე-გიორბელიძე-ლობჟანიძის ნაცვლად, კვირკველია, ჩაბრაძე და წიტაიშვილი ვიხილეთ. ალბანელებთან დაცვა უკეთესად გამოიყურებოდა. სანიოლმა თავდასხმაში ზივზივაძე ვოლკოვით ჩაანაცვლა. თუმცა, ვერ ვიტყვით რომ სწორი გადაწყვეტილება იყო. მიკროტრავმის გამო კვარაცხელიას არყოფნაში კი, სასტარტოში ვაკო ყაზაიშვილს უხმო.

მოკლედ, სანიოლმა ისევ ვერ გაგვაკვირვა და ისევ ჩვეულებრივი მატჩი ჩაატარა. მოედანზე მეტოქე უკეთესი ჩანდა. იყო მომენტები, როდესაც ალბანეთი მაგრად მოგვაწვა. იყო მომენტები, სადაც გოლს გადავურჩით, თუმცა, ჩვენებსაც შეეძლოთ გატანა. 2 კარგი მომენტი იყო და ორჯერვე ვაკო ყაზაიშვილის წყალობით: ჯერ ზურიკო დავითაშვილს უპასა და მან ახლო მანძილიდან ვერ შეაგდო, შემდეგ კი ვაკომ გიორგი წიტაიშვილზე პასის გაკეთება უკვე აღარ მოინდომა, თავად დაარტყა და ააცილა.

ვილი სანიოლი:

– ესპანეთთან თამაშმა აჩვენა, რომ ალბანეთის ნაკრები საკმაოდ ხარისხიანი გუნდია. კმაყოფილი ვარ ჩემი ფეხბურთელებით. მათ შეინარჩუნეს ძლიერი დისციპლინა, რომელიც ოქტომბრის შემდეგ დადებითი დინამიკით გვამოძრავებს. 4 გამარჯვების შემდეგ, ფრედ ვითამაშეთ. მე-4 მატჩია გოლი არ გაგვიშვია. კმაყოფილი და ბედნიერი ვარ, მაგრამ ეს იყო უკანასკნელი თამაში ერთა ლიგის დაწყებამდე. იმედი მაქვს, ჩემი ფეხბურთელები ჯანმრთელები და კარგ ფორმაში იქნებიან ტურნირის დაწყებამდე.

როდესაც გარკვეული ფეხბურთელების გარეშე კარგ შედეგს აღწევ, ეს ნიშნავს, რომ გუნდში კარგი ატმოსფეროა და ფეხბურთელებს აქვთ რწმენა, რომ რამდენიმე ლიდერის არყოფნის შემთხვევაშიც შეუძლიათ წარმატების მიღწევა. ჩვენთვის, სამწვრთნელო შტაბისთვის მნიშვნელოვანი იყო იმის ხილვა, თუ როგორი რეაქცია ექნებოდა გუნდს ასეთ ვითარებაზე.

ერთა ლიგაზე 10 დღეში 4 მატჩს გავმართავთ, რაც სიახლეა. ასე რომ, ჯანმრთელი და კარგ სპორტულ ფორმაში მყოფი ფეხბურთელები დამჭირდება.

გურამ კაშია:

– დაცვაში ორგანიზებულები ვართ და ძალიან ცოტა მომენტს გვიქმნიან. ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მაგრამ ამას ბურთით თამაში, მეტი მომენტის შექმნა და გამბედაობა უნდა დავუმატოთ. თამაშს ვერ მოიგებ, თუ მომენტს ვერ შექმნი. ამიტომ, ცოტა მეტი გვმართებს. გვაკლდა წამყვანი ფეხბურთელები და იმედი მაქვს, ჯანმრთელად იქნებიან ოფიციალური თამაშებისთვის, ძალას შეგვმატებენ და უფრო მეტ კრეატიულობას შემოიტანენ ჩვენს თამაშში.

დადებითად შევაფასებ ამ კვირას. ბოსნიასთან გამარჯვების შემდეგ, ძალიან მძიმე თამაში გამოდგა. ალბანეთი კარგი გუნდია, გასვლაზე ვეთამაშეთ და ძალების აღსადგენად რამდენიმე დღე გვქონდა.

მსურს, ერთა ლიგის დაწყებამდე ყველა ჯანმრთელად იყოს, რადგან წამყვანი ფეხბურთელების გარეშე ძალიან გაგვიჭირდება. 10 დღეში 4 მატჩის ჩატარება ყველა ფეხბურთელისთვის ძალიან რთულია, ამიტომ, ყველა გვჭირდება. რაც მთავარია, კარგი სტარტი და ერთა ლიგის გამარჯვებით დაწყება გვინდა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

ორი ჩიხუახუა ინგლისური ქალაქის მცხოვრებლებს ატერორებს

ინგლისის უილტშირის საგრაფოს ქალაქ კორშამის მცხოვრებლები ჩივიან აგრესიული ჩიხუახუას გამო, რომლებიც არა მხოლოდ მათ შინაურ ცხოველებს, არამედ მათ პატრონებსაც ტერორში ამყოფებენ.

ადგილობრივი ქალაქის საბჭოს წარმომადგენლებმა რამდენიმე საჩივარი მიიღეს ადგილობრივი მცხოვრებლებისგან და ყოველ მათგანში საუბარი იყო ჩიხუახუას ჯიშის ძაღლებზე. ერთი ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც მამაკაცი პოლიციის ყოფილ ნაგაზს ასეირნებდა. რაღაც მომენტში ორი ჩიხუახუა გამოჩნდა. ისინი საბელის გარეშე იყვნენ და მოულოდნელად თავს დაესხნენ პენსიაზე გასულ ნაგაზს და რომელმაც დიდი გაჭირვებით მოიგერია მათი შემოტევა.

ქალაქის კიდევ ერთი მცხოვრები აგრესიულ ძაღლებს იმ დროს გადაეყარა, როდესაც ის თავის ორ 29-კილოგრამიან ძაღლს ასეირნებდა, თუმცა მათ ზომებს შთაბეჭდილება არ მოუხდენია პატარა ჩიხუახუებზე და ისინი შეეცადნენ თავს დასხმოდნენ თანამოძმეებს.

ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ, რუთ ჰოპკინსონმა, აღნიშნა, ძაღლებს მათი პატრონი საბელების გარეშე ასეირნებდა, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ მისი პატარა შინაური ცხოველები მეგობრულები იყვნენ და არავის არაფერს დაუშავებდნენ. მან ქალაქის მცხოვრებლებს მოუწოდა, რომ ძაღლები ქუჩაში სასეირნოდ მხოლოდ საბელების გამოყენებით გამოიყვანონ.

ელისაბედ II-მ ციხე-სიმაგრეში გადასაადგილებლად გოლფ-კარი შეიძინა

დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ II-მ 62 ათას ფუნტ სტერლინგად ღირებული გოლფ-კარი შეიძინა, რათა მისი დახმარებით უინძორის ციხე-სიმაგრეში გადაადგილება შეძლოს. ასეთი შენაძენის გაკეთებისკენ მონარქს ჯანმრთელობის პრობლემებმა უბიძგა.

გოლფისთვის განკუთვნილი ოთხადგილიანი ბაგი, რომელსაც Queen Mobile უწოდეს, აღჭურვილია მაცივრით, გასართობი ეკრანით, Bluetooth-ს დინამიკებით, საქარე მინის გათბობით და 14 დიუმიანი მსუბუქი ჩამოსხმის დისკებით. სალონში ასევე დაყენებულია ყავისფერი ტყავის სავარძლები. გოლფ-კარი დაამზადა კომპანია Garia-მ Mercedes-Benz-თან თანამშრომლობით. მისი მაქსიმალური სიჩქარე საათში 43 მილს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ერთი დამუხტვით ის 50 მილ მანძილს ფარავს.

მამაკაცი 30-წლიანი წარუმატებლობის შემდეგ მილიონერი გახდა



ავსტრალიელი 30 წლის მანძილზე ლატარიის თამაშში ერთსა და იმავე რიცხვებს იყენებდა და ახლა პირველად გახდა გათამაშების გამარჯვებული.

სამხრეთ უელსის შტატის ქალაქ კუინბიანის მკვიდრი 5,5 მილიონი ავსტრალიური დოლარის მფლობელი გახდა მას შემდეგ, რაც ლატარია ოზ ლოტოს გათამაშების ყველა რიცხვი გამოიცნო.

ბედნიერმა ავსტრალიელმა განაცხადა, რომ სამი ათეული წლის წარუმატებლობის შემდეგ პირველად გახდა გათამაშების გამარჯვებული.

– იგებ ინფორმაციას იმ ადამიანების თაობაზე, რომლებიც დიდ თანხას იგებენ და ფიქრობ „ალბათ ეს რა მაგარია!“ თავად კი მსგავსი რამის იმედი არ გაქვს, – აღიარა მამაკაცმა.

ავსტრალიელის თქმით, ის სამსახურისთვის თავის დანებებას არ აპირებს, ხოლო მოგებული თანხით ვალებს გაისტუმრებს.

– ვაპირებ, ცხოვრებაში პირველად სრულად განვთავისუფლდე ვალებისგან. ასევე, ჩემ მშობლებსაც აღარ ექნებათ ვალები, მე კი ავტომობილის ყიდვას მოვახერხებ. ეს ჩემ ცხოვრებას სრულიად შეცვლის, – განაცხადა ლატარიის გამარჯვებულმა.

უიშვიათესი პოკემონებიანი ბარათი ასიათასობით დოლარად გაიყიდა

1999 წლის უიშვიათესი პოკემონებიანი ბარათი აუქციონზე 420 ათას დოლარად გაიყიდა. ეს თანხა სიდიდით მესამეა, რომელიც კი ოდესმე მსგავს ბარათში გადაუხდიათ.

ბარათი ჩარიზარდას პოკემონის გამოსახულებით რამდენიმე დღის წინ გაიყიდა. მსოფლიოში უმსხვილესი მარკეტპლეისის მონაცემებით, რომელზე სათამაშო ბარათებით ვაჭრობენ, 420 ათასი დოლარი – რეკორდული თანხაა, რომელიც კი ოდესმე გადაუხდიათ ჩარიზარდას გამოსახულებიან ბარათში.

მნიშვნელოვანწილად ასეთი მაღალი ფასი ბარათის მდგომარეობამ განაპირობა, ის აბსოლუტურად ახალივით გამოიყურებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალგაზრდულმა ნაკრებმა დამაჯერებლად მოიგო

საქართველო-ესტონეთი 4:1

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

1:0, 2:0 მოისწრაფიშვილი (34, 54), 2:1 ტამი (75), 3:1 დარცმელია (90), 4:1 შეყილაძე (90)

საქართველო: ბულისკერია, ჯინჯოლავა, გელაშვილი, აზაროვი (ხარაბაძე 63), კალანდაძე, გოჩოლეიშვილი (კაპანაძე 63), ნონიკაშვილი (ფარულავა 90), გაგნიძე (დარცმელია 63), მოისწრაფიშვილი (აბულაძე 88), გულიაშვილი (ინჯგია 63), გაგუა (შეყილაძე 90)

ესტონეთი: ლაპა, ჰუსარი, გრაუბერგი (პევცოვი 63), კურაკსინი, პელტი, საარმა (კომისაროვი 46), იარვისტე, მიჰაილოვი, სარნინი, ტამი, მილი (კალასი 40)

საქართველოს 21-წლამდე ნაკრები გორში ესტონეთის ახალგაზრდულ გუნდს დაუპირისპირდა და შარშანდელის მსგავსად, თენგიზ ბურჯანაძეზე გამართული წლის პირველი მატჩი 4:1 მოიგო.

პირველი გოლი, 35-ე წუთზე თბილისის დინამოელმა მოისწრაფიშვილმა გაიტანა, რომელმაც გიორგი გულიაშვილის წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო დარტყმა ზუსტად გამოიყენა.

ორამდე სხვაობა ისევ მოისწრაფიშვილმა გაზარდა – 54-ე წუთზე დუბლი მიითვალა. 75-ე წუთზე ტამიმ ბულესკირიას კარის აღება თავური დარტყმით შეძლო.

ბოლო 2 გოლი, მატჩის მიწურულს, მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში გავიდა. თავი ჯერ დარცმელიამ გამოიჩინა, შემდეგ – შეყილაძემ და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 4:1.

რამაზ სვანაძე:

– განვლილ მატჩში ყველაზე კარგი რაც გახლდათ, ეს იყო ალბათ შედეგი. კარგი სერია გვაქვს და მნიშვნელოვანი იყო ამ მატჩის მოგებაც. თუმცა, მეორე მხარეა თამაშის ხარისხი და ის დამოკიდებულება, რომელიც ჩვენ მეორე ტაიმში ვაჩვენეთ და, სიმართლე რომ გითხრათ, ამ ყველაფრით უკმაყოფილო დავრჩი.

მიზანი კვლავ უცვლელია – მოვიგოთ რაც შეიძლება მეტი მატჩი და მზადყოფნაში შევხვდეთ 2023 წლის ევროპის ჩემპიონატს. ამ გზაზე ბევრი სირთულე შეგვხვდება.

სუპერლიგის ცხრილში დაძაბული სიტუაციაა

ქუთაისი-კაკტუსი 95:86

(25:20, 26:16, 17:24, 27:26)

იმერულმა კლუბმა გამარჯვების მოპოვება მოახერხა და მეორე ადგილზე გამყარდა, კოტე ტუღუშის გაწვრთნილი ქუთაისი მცირე ჩავარდნის შემდეგ წარმატებულ კალაპოტს დაუბრუნდა.

წინა მატჩში რუსთაველების დამარცხების შემდეგ ქუთაისელებმა კაკტუსსაც მოუგეს – 95:86. თუ არ ჩავთვლით მეორე პერიოდის შუა მოკლე მონაკვეთს, მასპინძლები მთელი თამაშის მანძილზე იგებდნენ.

ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილი კაკტუსი მატჩის ბოლომდე ინარჩუნებდა წარმატების შანსს, მაგრამ საბოლოო წარმატების მისაღწევად ძალები არ ეყო.

ვერა-ტიტები 85:95

(6:23, 18:25, 28:22, 33:25)

სუპერლიგაში დასარჩენ გადათამაშებაში რომ არ მოხვდეს, გუნდმა მინიმუმ მე-9 ადგილი უნდა დაიკავოს და ამ მხრივ დღეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ტიტებმა. ვერელებს სუპერლიგიდან გავარდნის საფრთხე არიდებული ჰქონდათ, მაგრამ თუ ასე წარუმატებლად გააგრძელეს რეგულარულ ჩემპიონატში ასპარეზობა, შეიძლება ფლეი ოფში გამსვლელ 8 გუნდს შორის ვერ მოხვდნენ. დავით გასიტაშვილის გაწვრთნილმა ვერელებმა მეორე წრის 6 მატჩიდან 5 წააგეს. ეს ერთის მხრივ შემადგენლობის შესუსტებითაა გამოწვეული, მაგრამ ამის მიუხედავად, ამდენი წაგება ვერელთა კონცენტრაციის და ბრძოლისუნარიანობის შესუსტებაზე მიუთითებს.

ტიტებმა ბოლო 2 მატჩი მოიგო, რითაც ცხრილში პოზიცია მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა. სუპერლიგის რეგულარულ ჩემპიონატში გუნდებს 4-5 თამაში აქვთ დარჩენილი და წინ საკმაოდ დიდი ბრძოლები გველის.

ბათუმი-მეგა 67:70 (ოტ)

(20:18, 10:10, 18:17, 13:16, 6:9)

ბათუმში მასპინძელთა გუნდმა ახალ საკალათბურთო დარბაზში მეგასთან ოვერტაიმში წააგო – 67:70. ბათუმელებმა ამ მარცხით წარმატებული სერია შეწყვიტეს, რომელიც მიჯრით 4 მოგებულ მატჩს შეადგენდა. ბუბა ბერიშვილის გუნდმა შთამბეჭდავი სერია მოაწყო და ზედიზედ მოგებული მატჩების შედეგად ლიდერებში გაერია, ერთი მომენტი მე-3 ადგილზეც იყო, მაგრამ მეგასთან მარცხმა ცხრილის შუამდე დააყვეითა.

ბათუმელებს ფლეი ოფს მიღმა დარჩენა არ ეშუქრებათ, აი, მათ ოპონენტს კი მოგება ჰაერივით სჭირდებოდა. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილ მეგას, რომელიც სუპერლიგაში დებიუტანტია, ასევე წარმატებული სერია ჰქონდა. თუმცა წინა ტურში ოლიმპთან დამარცხდა. მეგა სუპერლიგაში დასარჩენადაც იბრძვის და ამ პრობლემის გადასაჭრელად დღევანდელი გასვლითი გამარჯვება უმნიშვნელოვანესი იყო.

რუსთავი-ცხუმი 62:92

(20:27, 16:20, 12:25, 14:20)

შარშანდელმა ჩემპიონმა რუსთავმა მარცხი იწვნია და რეგულარულ ჩემპიონატში დარჩენილ 4 მატჩში მაქსიმალური ძალისხმევა მართებს, რომ ბოლოსწინა ადგილი არ დაიკავოს და სუპერლიგაში დასარჩენად ა ლიგის პრეტენდენტთან საკვალიფიკაციო სერიაში არ მოუწიოს ბრძოლა.

რუსთავს ცხუმ-აფხაზეთი ესტუმრა, რომელსაც ქვემოქართლელებზე ერთით ნაკლები მოგება ჰქონდა, ხოლო წაგება – თანაბარი. შესაბამისად, ეს გახლდათ უშუალო კონკურენტების მატჩი და გასაკვირია, რომ ბრძოლა არ შედგა. ირაკლი ძიძიგურის გაწვრთნილმა ცხუმ-აფხაზეთმა 30 ქულის სხვაობით – 92:62 დაამარცხა მოქმედი ჩემპიონი და სატურნირო ცხრილის ქვედა ნახევარში ვითარება უკიდურესად დაიძაბა.

დინამო-ოლიმპი 73:91

(22:18, 16:25, 14:24, 21:24)

დინამო დამარცხდა და სუპერლიგიდან ა ლიგაში დაქვეითების ზღვარზე მივიდა. დინამოელებს სუპერლიგაში დარჩენის მხოლოდ თეორიული შანსი დარჩათ, რომლის პრაქტიკაში განხორციელება ძალიან რთული იქნება.

დინამომ იბრძოლა, მაგრამ ბოლო მატჩებში გამარჯვების გზებზე შემდგარ ოლიმპს ვერაფერი მოუხერხა. დავით როგავას გაწვრთნილ ოლიმპელებს წინა 3 შეხვედრა მოგებული ჰქონდათ და წარმატებული მატჩების სერია 4-მდე გაზარდეს. ამ გამარჯვებამ როგავას გუნდს ცხრილში მე-3 ადგილი მოუტანა და დარჩენილ 4 ტურში ოლიმპი კიდევ უფრო მაღლა ასვლას შეეცდება, რათა ქუთაისს გადაასწროს და ფლეი ოფში შეხვედრის შემთხვევაში იმერულ კლუბთან მოედნის უპირატესობა ჰქონდეს.

რაც შეეხება დღევანდელ მატჩს, ოლიმპმა საბოლოოდ იოლად კი მოიგო, მაგრამ პირველ ნახევარში გაუჭირდა. დინამოელებმა საწყისი პერიოდი შესანიშნავად ჩაატარეს და ათწუთეულის შემდეგ 22:18 იგებდნენ. მეორე მეოთხედში ოლიმპელებმა თამაში დაცვის ხარჯზე გამოასწორეს. საქმეში კარგად ჩაერთო ლუკა კალატოზიშვილი, რომელიც ფარქვეშ იდეალურად შეუწყვილდა ილია ლონდარიძეს, თუმცა უკანა ხაზსაც ეხმარებოდა პერიმეტრზე სწორი ტაქტიკური მოქმედებითა და ზუსტი შორი სროლებით. როგორც ყოველთვის, მოწოდების სიმაღლეზე იყო კახა ჯინჭარაძე, რომლის ლიდერობითაც ოლიმპმა დიდი შესვენებისთვის ლიდერობა მოიპოვა – 43:38.

მესამე პერიოდში ჟოლივეტ ტუჯანის გაწვრთნილი დინამოელები გადაღლილები ჩანდნენ, რომლებიც ვერ აჰყვნენ ოლიმპს სწრაფ თამაშში და დიდი ანგარიშით ჩამორჩნენ. მესამე პერიოდი ოლიმპმა 10 ქულის სხვაობით მოიგო და გამარჯვებულის ვინაობაც საფინალო სირენამდე კარგა ხნით ადრე გაარკვია. საბოლოოდ ოლიმპელებმა 91:73 იმარჯვეს.

ბოლო, მე-11 ადგილზე მყოფ დინამოს მხოლოდ 3 მოგება აქვს და სუპერლიგიდან რომ არ გავარდეს, საოცრება უნდა მოხდეს.

სატურნირო ცხრილი:

1.თსუ	15	12	3	1246-1159	27
2.ქუთაისი	15	11	4	1340-1235	26
3.ვერა	16	9	7	1357-1405	25
4.ოლიმპი	15	10	5	1247-1176	25
5.ბათუმი	15	8	7	1242-1178	23
6.მეგა	16	7	9	1275-1297	23
7.ტიტები	15	7	8	1228-1204	22
8.კაკტუსი	16	6	10	1241-1273	22
9.რუსთავი	16	6	10	1274-1354	22
10.ცხუმი	15	6	9	1211-1216	21
11.დინამო	16	3	13	1282-1446	19

შედეგები

29 მარტი

ფეხბურთი

მრ-2022. შესარჩევი ეტაპი

ევროპა

პოლონეთი-შვედეთი	2:0
პორტუგალია-ჩრ.მაკედონია	2:0

ს.ამერიკა

ბოლივია-ბრაზილია	0:4
ვენესუელა-კოლუმბია	0:1
პერუ-პარაგვაი	2:0
ჩილე-ურუგვაი	0:2
ეკვადორი-არგენტინა	1:1

აზია

იაპონია-ვიეტნამი	1:1
ირანი-ლიბანი	2:0
ემირატები-ს.კოერა	1:0
სირია-ერაყი	1:1
ომანი-ჩინეთი	2:0
ს.არაბეთი-ავსტრალია	1:0

აფრიკა

სენეგალი-ეგვიპტე	1:0(3:1პ)
ნიგერია-განა	1:1
მაროკო-დ.კონგო	4:1
ტუნისი-მალი	0:0
ალჟირი-კამერუნი	1:2(დდ)

უეფას ეროვნული ლიგა

ფლეი ოფი

ყაზახეთი-მოლდოვა	0:1(5:4პ)
კვიპროსი-ესტონეთი	2:0

ამხანაგური მატჩები

აზერბაიჯანი-ლატვია	0:1
სინგაპური-ფილიპინები	2:0
კონგო-სიერა ლეონე	1:2
ხორვატია-ბულგარეთი	2:1
ლიხტენშტეინი-ფარერები	0:1
ალბანეთი-საქართველო	0:0
ბაჰრეინი-ბელარუსი	0:1
დანია-სერბეთი	3:0
ფინეთი-სლოვაკეთი	0:2
შვეიცარია-კოსოვო	1:1
მალტა-ქუვეითი	2:0
ნორვეგია-სომხეთი	9:0
კატარი-სლოვენია	0:0
ისრაელი-რუმინეთი	2:2
ავსტრია-შოტლანდია	2:2
ინგლისი-კოტ დივუარი	3:0
ბელგია-ბურკინა ფასო	3:0
ბოსნია-ლუქსემბურგი	1:0
ირლანდია-ლიტვა	1:0
ესპანეთი-ისლანდია	5:0
ნიდერლანდები-გერმანია	1:1
ჩრ.ირლანდია-უნგრეთი	0:1
თურქეთი-იტალია	2:3
უელსი-ჩეხეთი	1:1
საფრანგეთი-ს.აფრიკა	5:0

ეჩ-2023. შესარჩევი ეტაპი (21)

გიბრალტარი-მოლდოვა	0:4
ყაზახეთი-შოტლანდია	2:2
კვიპროსი-ისლანდია	1:1
მალტა-ლიტვა	1:3
პოლონეთი-უნგრეთი	1:1
სერბეთი-სომხეთი	2:0
სლოვაკეთი-ესპანეთი	2:3
სლოვენია-კოსოვო	0:0
უელსი-ბულგარეთი	1:1
ისრაელი-გერმანია	0:1
იტალია-ბოსნია	1:0
ავსტრია-ნორვეგია	2:1
ანდორა-ჩეხეთი	0:3
საბერძნეთი-პორტუგალია	0:4
ჩრ.მაკედონია-ფარერები	0:1
ხორვატია-ფინეთი	2:3
შვედეთი-ირლანდია	0:2
ნიდერლანდები-შვეიცარია	2:0
დანია-ბელგია	1:1
სან მარინო-ლატვია	0:0
ალბანეთი-ინგლისი	0:3

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

დიდარ ივარდავას ნათელ ხსოვნას!



მოულოდნელად წავიდა ჩვენგან და დაგვიტოვა დიდი სევდა და მწუხარება. ის იყო გამოჩენილი ქართველი პოეტი, სახელმწიფო და ლიტერატურული პრემიების ლაურეატი. თხემით ტერფამდე დიდი ქართველი, ძველი კოლხეთის მიწიდან. პირველივე დღიდან ჩართული იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში თავის მეუღლესთან, დიდებულ ქალბატონთან, ცირა ფურცელაძესთან ერთად.

სასტიკი წინააღმდეგი იყო ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების და პრეზიდენტის ძალით დამხობისა და წითელი ინტელიგენციის (როგორც მათ ეძახდა ზვიად გამსახურდია) მიერ ე.შევარდნაძის შემობრუნებისა. ამის გამო იყო რეპრესირებული.

თავის წლოვანების მიუხედავად, ძალიან ბევრს წერდა. პირველი მე დამირეკავდა და მიკითხავდა თავის ახალ ლექსებს. ძალიან ერთგული მეგობრობა იცოდა...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

რომული ჯიქია, ნინელი კუხალეიშვილი,
ადა ჯიქია შვილებით და შვილიშვილებით

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოხსვოხდი ბ



შვეულად: 1. ფრანგი კომპოზიტორი, მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი; 2. რომან „დათა თუთაშხიას“ პერსონაჟი; 3. პატარა სამხედრო ჰოსპიტალი; 4. მეცნიერება ორატორული ხელოვნების შესახებ; 7. ძუნწი, ძალზე ხელმომჭირნე ადამიანის სახელწოდება საფრანგეთში; 8. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 12. ძვირფასი ქსოვილი; 14. პოლიციის განყოფილება იტალიაში; 16. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. რაიონული ცენტრი იმერეთში; 19. აზრი, ჩანაფიქრი; 20. მარადმწვანე წიწვოვანი ხე.

თარაზულად: 5. ცნობილი ქართველი ინფექციონისტი; 6. ცეცხლსასროლი იარაღის ამერიკელი კონსტრუქტორი; 9. ფულის ერთეული პანამაში; 10. სენეგალის დედაქალაქი; 11. ხილი, ნიუ იორკის სიმბოლო; 13. ძველი ქართული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. საჭმელი სოკო; 18. ლუკ ბესონის ფილმი; 21. ლატვიის ისტორიული სახელწოდება; 22. ნარკოტიკის ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი მხიარული განწყობილება; 23. ხეობა კახეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰერმესი; 2. ფიჯი; 3. მერფი; 4. ახტალა; 6. ჟურფიქსი; 9. საცივი; 13. გაგნიძე; 14. თუშმალი; 15. ჯაკუზი; 17. ტვიში; 18. კლონი; 20. ხოტი.

თარაზულად: 1. ჰეფნერი; 5. ბჟუჟი; 7. ბერმუხა; 8. მეჯლისი; 10. აზარი; 11. ფრეზა; 12. ხუცესი; 16. ჰუმუსი; 17. ტანკი; 19. გუჩი; 21. ბულიტი; 22. იშხანი; 23. დილერი; 24. შირაქი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. თუტმოსი; 2. სიგალი; 3. მისისიპი; 4. გენეტიკა; 7. ქათინაური; 8. ესკულაპი; 12. ბადაგონი; 14. იმბეცილი; 16. ვანდომი; 17. შარბათი; 19. გემა; 20. გომი.

თარაზულად: 5. სუროგატი; 6. კვირინალე; 9. ჯორჯია; 10. ლაფსუსი; 11. ეკერი; 13. ბახში; 15. ამლახუ; 18. იანძი; 21. შინჰოფერი; 22. ოოლოგია; 23. ბაგრატი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

31 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1013

ევრო — 3.4496

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0732

100 რუსული რუბლი — 3.6773

ამინდის პროგნოზი 31 მარტისათვის

ISSN 1987-9385

პსჟ მზად არის, მესი გაყიდოს



ფრანგულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პსჟ მზად არის, ლიონელ მესი სეზონის ბოლოს გაყიდოს, რადგან მისი თამაშით გუნდის ხელმძღვანელობა კმაყოფილი არ არის.

გარდა ამისა, მესის თვითონაც არ სურს პსჟ-ში დარჩენა და არ არის წინააღმდეგი, რომ გუნდი შეიცვალოს.

გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მესიმ შესაძლოა კარიერა ამერიკის შეერთებულ შტატებში გააგრძელოს.

დემბელეს ბარსელონას დატოვება არ სურს

ბარსელონას ფრანგ ფორვარდს უსმან დემბელეს გუნდის დატოვება არ სურს, რადგან ის ბარსელონაში ისეთი ბედნიერია, როგორც არასდროს ყოფილა. ამის შესახებ მან თანაგუნდელებსაც უთხრა და ის შეეცდება, რომ ბარსელონასთან ახალი კონტრაქტი გააფორმოს, თუმცა ეს სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ჯერჯერობით უცნობია, დარჩება თუ არა დემბელე ბარსელონაში.

კვარაცხელია შესაძლოა მაინც გადავიდეს ნაპოლიში



ხვიჩა კვარაცხელია შესაძლოა მაინც გადავიდეს ნაპოლიში, რადგან გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ხვიჩას აგენტი იტალიაში იმყოფება და მან ნაპოლისთან ყველა დეტალი შეათანხმა და ახლა ჯერი უკვე გუნდებს შორის შეთანხმებაზეა.

შეგახსენებთ, რომ კვარაცხელია ბათუმის დინამოს შეუერთდა და ის რუბინში დაბრუნებას არ აპირებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

...

მოსამართლე ბრალდებულს ეკითხება:

– შენ ასეთი ღვთისმოსავი კაცი ყოფილხარ და რატომ სცემე იმ კაცს ასე სასტიკად?

– გამარტყა.

– მერე, არ იცი, ბიბლიაში რა წერია, ერთ ლოყაში რომ გაგარტყამენ, მეორე მიუშვირეო?

– მეც ეგრე მოვიქეცი და მეორე მივუშვირე.

– მერე?

– მეორეშიც გამარტყა.

– მერე?

– რა მერე, იქ მეორე ლოყაზე არაფერი წერია...

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რატომაა, რომ თქვენ ყველაფერს ასწრებთ და ყველაფერს ოპტიმისტურად უყურებთ?

– უბრალოდ, არავის ვეკამათები.

– კი მაგრამ, ეგ ხომ შეუძლებელია!

– რახან შეუძლებელია, იყოს შეუძლებელი.

•••

მასწავლებელი გაკვეთილზე გიგის ეკითხება:

– აბა, გიგი, მიპასუხე, მართალია, რომ მდიდრები ღარიბებს ეხმარებიან?

– რა თქმა უნდა, ეხმარებიან.

– აბა, მაგალითი მომიყვანე!

– ამასწინათ, როდესაც მაწანწალა გივიმ მამაჩემის ახლთახალ ჯიპზე დააწერა „გარეწარი“, მამამ მკურნალობის ხარჯები სრულად აუნაზღაურა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნინი ნუცუბიძემ და გიორგი გიგაშვილმა დუეტი ჩაწერეს

მომღერალმა ნინი ნუცუბიძემ და პიანისტმა გიორგი გიგაშვილმა დუეტი ჩაწერეს. მათ ცნობილი უკრაინული სიმღერა „ჩერნობრივცი“ ახლებური ვერსიით შეასრულეს.

გიორგი გიგაშვილი:

– ჩავწერეთ მე და ნინიმ „ჩერნობრივცი“ ჩვენივე ვერსიით. იმედია, თქვენც ისიამოვნებთ და ჩვენს მცირედ მხარდაჭერასაც იგრძნობს უკრაინელი ხალხი.

სალომე ჭაჭუამ ირლანდიურ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ ვერ გაიმარჯვა



ქართველმა მოცეკვავემ სალომე ჭაჭუამ და მისმა მეწყვილემ მორაგბე ჯორდან ქონროიმ ირლანდიური „ცეკვავენ ვარსკვლავების“ გამარჯვებულის ტიტული ვერ მოიპოვეს.

ფინალში დარჩენილი ოთხი წყვილიდან ჟიურიმ სალომესა და ჯორდანს უმაღლესი ქულები დაუწერა, მათი ცეკვა შეაქო, ჯორდანს პროფესიული ზრდა მოუწონა, თუმცა, მაყურებლის გადაწყვეტილებით, შოუს გამარჯვებული არ გახდა.

ელდარ შენგელაიამ მაყურებელს ახალი ფილმი წარუდგინა

რეჟისორმა ელდარ შენგელაიამ მაყურებელს ახალი ფილმი წარუდგინა. „ჩიტები“ – ასე ჰქვია მის მოკლემეტრაჟიან ფილმს, რომელმაც დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

ინფორმაცია რუსუდან თევზაძემ გაავრცელა:

– უკრაინის ტრაგედიის გამო ნებისმიერ დადებით ემოციაზე თავს ვიკავებ, თუმცა ვერ შევძელი ჩვენი ძვირფასი ადამიანის ელდარ შენგელაიას მორიგი ახალი ფილმის შესახებ არ მეთქვა. მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ჩიტები“ – გენიოსის მიერ გენიალურად გადმოცემული ზღვა ემოცია მრავალსპექტრიან სიყვარულზე. ეს აუცილებლად უნდა ნახოთ!

სოფო ბათილაშვილმა უკრაინას სიმღერა მიუძღვნა

„მხოლოდ ქართულის“ პირველი სეზონის გამარჯვებულმა სოფო ბათილაშვილმა თავის მეგობარ მომღერლებთან ერთად უკრაინისადმი მიძღვნილი სიმღერა შეასრულა.

უცხოენოვან სიმღერას ძირითადად ახალგაზრდა მომღერლები ასრულებენ.

სანდრო კვაჭაძემ, ზურა ჯავახიამ, ნატალია ნაყოფიამ, მემე ჟორდანიამ, შოთა ადამაშვილმა, მაგდა ივანიშვილმა, გორის ქალთა გუნდმა საკუთარი მხარდაჭერა უკრაინელი ხალხის მიმართ ერთობლივი სიმღერით გამოხატეს და უკრაინელ ხალხს სოლიდარობის ნიშნად გაუზიარეს.

„გურული დღიურები“ უკრაინაში გარდაცვლილი ქართველების შვილებს სტიპენდიას დაუნიშნავს

ფონდ „გურული დღიურების“ დამაარსებლის გიორგი კეკელიძის გადაწყვეტილებით, უკრაინაში გარდაცვლილი ქართველი მეომრების შვილებს სტიპენდია დაენიშნებათ:

– ჩვენი ფონდი „გურული დღიურები“ ქართველი მეომრების შვილებს, რომლებიც უკრაინაში რუსეთთან ომს შეეწირნენ, ანწუხელიძის სახელობის სტიპენდიას დაუნიშნავს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

31 მარტისათვის

ვერძი – თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა ზენიტშია. კარგი პერიოდია საქმიანი კონტაქტების დასამყარებლად, ბიზნესში აქტიურობისათვის. **კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. წარმატება გელით ბიზნესსაქმიანობაში. ცრუ დაპირებებს ნუ გასცემთ. **ტყუპები** – შესაფერისი პერიოდია კომერციული ოპერაციებისათვის, საყიდლებზე წასასვლელად. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **კირჩხიბი** – ნებისმიერი ქმედება თქვენგან დიდ სიფრთხილესა და წინდახედულობას მოითხოვს. შანსი გეძლევათ, პირად ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებები შეიტანოთ. **ლომი** – სამსახურშიც და სახლშიც სტაბილური სიტუაციაა. პლანეტები გირჩევენ, საკუთარი შესაძლებლობები ობიექტურად შეაფასოთ და ისე იმოქმედოთ. **ქალწული** – საჭიროების შემთხვევაში რჩევისათვის ახლო მეგობრებს მიმართეთ. სავაჭრო და კომერციული საქმიანობა წარმატებული იქნება. **სასწორი** – ელოდეთ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას. შემოსავალ-გასავალი მკაცრად აკონტროლეთ. **ღრიანკალი** – გარშემომყოფებთან ურთიერთობა გეძაბებათ. დღეს მაქსიმალური დიპლომატიურობისა და ტაქტის გამოჩენაა საჭირო. **მშვილდოსანი** – სამსახურში წინსვლა გელით. პირად ცხოვრებაში ეჭვიანობამ და წყენამ შესაძლოა ტკივილი მოგაყენოთ. **თხის რქა** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. მიზნის მიღწევაში ხელს სიჯიუტე და კოლეგებისადმი უნდობლობა შეგიშლით. **მერწყული** – სასიამოვნო ცვლილებების დღეა. პირად ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც დასახული მიზნის განხორციელებას ახლავე შეუდექით. **თევზები** – ნებისმიერი სახის კონტაქტები კეთილისმყოფელია. კარგი იქნება, თუ სტუმრად წახვალთ ან მათ თავად მიიღებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

რეზო ჩხიკვიშვილი 65 წლის გახდა

ქართველი მსახიობი რეზო ჩხიკვიშვილი, რომელიც წლებია გერმანიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს, 65 წლის გახდა. საიუბილეო თარიღი საქართველოდან მონატრებულ ხელოვანს უამრავმა ადამიანმა მიულოცა და ყველაფერი საუკეთესო უსურვა.

მომავალი მსახიობის მშობლები ექიმები იყვნენ და, რასაკვირველია, მათი სურვილი იყო, შვილიც ექიმი გამხდარიყო, თუმცა სკოლაშივე ამჩნევდნენ მის ნიჭს და ყველა ეუბნებოდა, რომ ნამდვილი მსახიობი იყო. სცენაზე დგომა და სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობა ძალიან მოსწონდა, ამიტომ ყველა საღამოზე ლექსს კითხულობდა, კარგად უკრავდა და მღეროდა. ამ მონაცემების წყალობით, იუბილარმა მსახიობმა სკოლის დამთავრებისთანავე კარგად იცოდა, რომ მისი მომავალი სცენას უკავშირდებოდა.

რეზო ჩხიკვიშვილს თეატრალურ უნივერსიტეტში ლილიოსელიანი ასწავლიდა. მისი პირველი თეატრი, სადაც ითამაშა, რუსთავის თეატრი იყო. რეჟისორმა ანზორ ქუთათელაძემ მიიწვია სპექტაკლში „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“, სადაც კოკა მხეიძის როლი ითამაშა. სწორედ ეს როლი გახდა რეზო ჩხიკვიშვილის სავიზიტო ბარათი და საუკეთესო მსახიობადაც აღიარეს.

მოგვიანებით მსახიობი მარჯანიშვილის თეატრში გადავიდა. საქართველოში 13-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ, რეზო ჩხიკვიშვილი გერმანიაში წავიდა და დღესაც იქ იმყოფება. მისი ოცნება ჰამლეტის თამაში იყო. სწორედ მაშინ, როდესაც გერმანიაში მიდიოდა, რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ ამ როლის თამაში შესთავაზა, თუმცა გერმანულ მიწვევაზე უარის თქმა არ გამოდიოდა და მსახიობმა რეჟისორის შეთავაზებაზე უარი თქვა.

ერთი წლით გერმანიაში წასული იუბილარი იქაურებს ისე მოეწონათ, რომ კონტრაქტები აღარც შეუწყვიტეს და ახლაც დიდი წარმატებით მოღვაწეობს თავის მეორე სამშობლოში. რეზო ჩხიკვიშვილს შესრულებული აქვს 60-ზე მეტი როლი და გადაღებულია 10-ზე მეტ ფილმში.

ასეთი გადატვირთული გრაფიკის მიუხედავად, მსახიობმა შეძლო და მონაწილეობა მიიღო დავით დოიაშვილის დადგმულ სპექტაკლში „მუსიკის ჰანგები“, სადაც მთავარი როლი ითამაშა.

რაც შეეხება რეზო ჩხიკვიშვილის ოჯახს, მისი მეუღლე მსახიობი ხათუნა ჩაგელიშვილია, ულამაზესი გოგონა ფილმიდან „ჩიორა“. სწორედ ამ ფილმის გახმოვანებაზე გაიცნეს ერთმანეთი, ოჯახი შექმნეს და 2 ბიჭის, სანდროსა და ლევანის, მშობლები არიან.

იუბილარმა მსახიობმა სიამოვნებით მიიღო მონაწილეობა რეჟისორ ნიკოლოზ ხომასურიძის ფილმში „ექვთიმე“, სადაც დიდი ექვთიმე თაყაიშვილის როლი შეასრულა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯვრიანი სიტყვები



შვეულად: 1. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 2. სოფლის ორღობე; 3. ცნობილი ესპანელი არქიტექტორი; 4. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი, ნავსადგური თურქეთში; 6. ბრტყელი ლოკოკინა; 9. მონასტერი ახალციხის რაიონში; 13. ქვის დიდი ლოდებით ნაგები აკლდამა; 14. ქარის მიმართულებისა და სიჩქარის განმსაზღვრელი მეტეოროლოგიური ხელსაწყო; 15. შოტლანდიელი მათემატიკოსი, ლოგარითმების გამომგონებელი; 17. სხვადასხვა ნაკეთობების ზედაპირის გასაპრიალებლად გამოყენებული მსუბუქი, ფოროვანი მინერალი; 18. მინერალური წყალი სამეგრელოში; 20. ეგრისის მთავარი მეექვსე საუკუნეში.

თარაზულად: 1. წმინდად დაკეპილი ხორცის, თევზის ან სხვა პროდუქტებისგან მომზადებული საუზმეული; 5. წნული ქოხი სამეგრელოში; 7. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 8. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 10. მომწამლავი ნივთიერება; 11. ფულის ერთეული ვიეტნამში; 12. სოფლის პოლიციელი ძველად; 16. კიევის მერი; 17. პერიოდულ ბეჭდვით გამოცემათა ერთობლიობა; 19. უძველესი სვანური დროშა; 21. სატუსაღო ძველ თბილისში; 22. ბავშვთა ქალაქი თბილისში; 23. ხუმარა, ოხუნჯი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 24. აეროპორტი მილანში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა